MES 5 21 0000679735

06/07/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2021 წლის22 ივნისს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი;

ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;

ბორის ლეჟავა - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პროფესორი მარკეტინგის მიმართულებით;

დავით ბოსტოღანაშვილი - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის "კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის" სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
მარინა ქორიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;
ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები:
თამარა ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამავე დეპარტამენტის პროფესორი;
მაია გოგაშვილი - შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის პროფესორი;
ლელა მასხულია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის ექიმი;
ეკატერინე ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
ირმა ბურდულაძე - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის ლიცენზირებისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
ნინო ნანავა - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ მახარაშვილი - *სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის დირექტორი;*

ლალი გიორგიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო შიოშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სანდრო ტაბატაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ანა ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო გულიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

1. გიორგი სოსიაშვილი - რექტორი;
2. ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. დავით კვერნაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი;
4. ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
5. გიორგი ხორბალაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“:

1. მანანა ცერცვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. თამაზ ხვიჩია - რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში;
3. მარიამ ველიჯანაშვილი - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
4. ზურაბ ცეცხლაძე - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. თამარ სოზიაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
6. ნინო ჭიჭივეიშვილი - სიცოცხლის ბოლომდე სწავლების სამსახური უფროსი;
7. კლიმენტი ადამია - შიდა აუდიტი;
8. ნანა გვენეტაძე - საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;

9. იოსებ ბოლოკაძე - ბიბლიოთეკის დირექტორი;
10. თორნიკე ხოშტარია - ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი;
11. ხათუნა ტვილდიანი - სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი;
12. თეა ჭეიშვილი - იურისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ექსპერტები:
სოკრატის კაციკასი;
ნინო დოლიძე;
ეკა გეგეშიძე;
სესილი კადარია;
ნიკოლოზ ფარჯანაძე;
ლევან ცაგარელი;

შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის ექსპერტები:
პანდელის იპსილანდისი;
ივანა ობორნა;
ირმა მანჯავიძემ;
ირინე დარჩია;
დავით მაქასარაშვილი;
ზურაბ ალხანიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შუამდგომლობა ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრის“ ოქმსა და გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· **არა**
დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შუამდგომლობა ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრის“ ოქმსა და გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

1. **სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

თვითაცილება განაცხადა დავით ბოსტოღანაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული ხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, სოკრატის კაციკასი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ სურდა საბჭოსთვის გაეცნო ძირითადი მიგნებები/რეკომენდაციები, მისი თქმით აღნიშნულ უნივერსიტეტში საერთო შეფასება კარგი/დამაკმაყოფილებელი იყო, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო პირველი, მეორე, მეხუთე და მეშვიდე სტანდარტი, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, არცერთი სტანდარტი არ შეფასებულა, როგორც „არ შეესაბამება მოთხოვნებს“, მხოლოდ ერთი კომპონენტი 2.3 (ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რისი უმთავრესი მიზეზიც იყო არასრული შემოწმება პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა მას არ შეუცვლია შეფასების საერთო სურათი.
პირველ სტანდარტთან მიმართებით მან განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაციები პირველ რიგში ეხებოდა მის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას, რათა უფრო კონკრეტული უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმების ინდიკატორების განსაზღვრაში, უფრო სპეციფიკური უნდა ყოფილიყო სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბებაში და მისიაში უნდა გამოჩენილიყო უფრო მეტი თვითმყოფადობა და ინდივიდუალიზმი უნივერსიტეტის მხრიდან. ასევე ძირითადი მიგნება პირველ-მეორე სტანდარტთან იყო ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს უკვე დაწყებული ჰქონდა პროცესი, უფრო უნდა გაძლიერებულიყო ძალისხმევა, რათა მმართველობითი ორგანოს არჩევითობა მომხდარიყო გამჭვირვალე და სამართლიანი პრინციპების უზრუნველყოფით, ყველა დაინტერესებული პირი უნდა ყოფილიყო მეტად/აქტიურად ჩართული, როგორც გადაწყვეტილების მიღების, ასევე მისი შემუშავების პროცესში, იყო რიგი საკითხები, სადაც საუნივერსიტეტო საზოგადოება და

დაინტერესებული პირები უნდა თანხმდებოდნენ და ერთ-ერთი ასეთი გახლდათ აკადემიური თავისუფლება.
პლაგიატის შესახებ, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აუცილებელი იყო სწავლების ყველა საფეხურზე, როგორც საბაკალავრო, ასევე სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურებზე ყველა პროგრამაზე პლაგიატზე შემოწმება ყოფილიყო სავალდებულო, არა მხოლოდ სამეცნიერო/საკვალიფიკაციო ნაშრომების, არამედ იმ ესეებისაც, რომლებსაც ყოველდღიურ სასწავლო აქტივობებში იყენებდა უნივერსიტეტი. საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ გაცემული იყო ერთი რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხს, საჭირო იყო უფრო მეტად დივერსიფიცირებული მიდგომა აღნიშნული მიმართულებით. ასევე ერთი რეკომენდაცია იყო გაცემული მეოთხე სტანდარტთან, რომელიც შეეხებოდა ძალისხმევის გაძლიერებას აკადემიური, ადმინისტრაციული და ზოგადად პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით. მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული იყო 2 რეკომენდაცია, პირველი მათგანი ეხებოდა გასაჩივრების პროცედურას, რომელიც საკმაოდ რთულად იქნა წარმოდგენილი/ახსნილი სტუდენტების მხრიდან მეორე კი შეეხებოდა იმას, რომ უნივერსიტეტს უნდა უზრუნველეყო თითოეული სტუდენტი კორპორატიული მეილებით. მეექვსე სტანდარტს, რომელიც ეხებოდა კვლევას, უნდა აღნიშნულიყო, რომ გორის უნივერსიტეტი იყო სასწავლო უნივერსიტეტი და არა უნივერსიტეტი, მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფს მაინც მოუწია მისი შეფასება აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, გაწერილი იყო 3 რეკომენდაცია, პირველი მათგანი გულისხმობდა, რომ მეტად განვითარებულიყო/დახვეწილიყო კვლევითი დაგეგმვის სტრატეგია, მეორე და მესამე რეკომენდაცია ეხებოდა კვლევითი პროექტების შიდა დაფინანსებას, მის გამჭვირვალობასა და მის მექანიზმებს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო გამჭვირვალე კრიტერიუმები შიდა კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის და აუცილებელი იყო გამჭვირვალე მონიტორინგი, რათა ყველა კვლევით კომპონენტს ამ მიმართულებით ჰქონოდა გამჭვირვალე მექანიზმი და უნივერსიტეტს უნდა გაეძლიერებინა ძალისხმევა ამ მიმართულებით განვითარებისკენ. მეშვიდე სტანდარტთან მიმართებით გაცემული იყო 4 რეკომენდაცია, პირველი ეხებოდა იმას, რომ უნდა გაძლიერებულიყო კავშირი ბიუჯეტსა და სტრატეგიულ გეგმას შორის, მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების განაწილების საკითხს რესურსების თვალსაზრისით, მესამე ეხებოდა იმას, რომ აუცილებელი იყო სასწავლო პროცესის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანგარიშთან დაკავშირებული საკითხების უფრო მეტად ერთობლივი მიდგომა, მაგ., Software-ს გაძლიერება/განვითარება, ბოლო მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რომ უნივერსიტეტს უზრუნველეყო ბიზნესზე უწყვეტობის ეფექტური ციკლის განხორციელება, რათა უფრო ეფექტურად დაგეგმილიყო ბიუჯეტი და ფინანსურ უზრუნველყოფას უფრო დაგეგმვითი ხასიათი ჰქონოდა.
გარდა ამისა ექსპერტთა ჯგუფმა დაწერა რამდენიმე რჩევა, თუმცა მათ დეტალებზე არ ისაუბრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სურდა ესაუბრა ორ საუკეთესო გამოცდილებაზე, პირველი ეხებოდა განსახილველი უნივერსიტეტის მიერ აფილირებული/აკადემიური პერსონალის შეფასების წესს, მათი მიღწევების შესაბამისად, მეორე კი კლასგარეშე აქტივობებისთვის იყო საკმაოდ ბევრი სივრცე, იმისთვის, რომ სტუდენტებს ჰქონოდათ გართობის საშუალება და ექსტრაკურიკულარული ანუ კლასგარეშე აქტივობებისთვის მოეცალათ, შესაბამისად ამ მიმართულებით უნივერსიტეტი იყო საუკეთესო.

16:14 საათზე საბჭოს შემოუერთდა მარინა ქორიძე.

ექსპერტი, ლევან ცაგარელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს რაიმეს დამატების სურვილი არ აღმოაჩნდათ, იმდენად ამომწურავი იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრება, თუმცა კითხვების შემთხვევაში მზად იყვნენ საპასუხოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

რექტორი, გიორგი სოსიაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მათთვის დიდი პატივი იყო აღნიშნულ ექსპერტთა ჯგუფთან მუშაობა, მიიღეს ბევრი საინტერესო რჩევა და რეკომენდაცია, რომლებიც წაადგებოდა მათი უნივერსიტეტის განვითარებას, თუმცა იყო რიგი რეკომენდაციები, რომლებსაც დაწესებულება ეთანხმებოდა, მაგრამ ზოგიერთ მათგანის შესახებ ჰქონდათ პასუხი, რადგან ზოგიერთ მათგანზე ვერ იქნა მოძიებული დოკუმენტაცია, რომელზეც დაწესებულების წარმომადგენლები გასცემდნენ ამომწურავ პასუხებს. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებთ კი მან სასაუბროდ სიტყვა გადასცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ლევან მიდოდაშვილს.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მისიაში სპეციფიკის ასახვას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლევან მიდოდაშვილმა განაცხადა, რომ ჩანაწერი, რომელიც წარადგინეს არგუმენტირებულ პოზიციაში, ხაზგასმული იყო უნივერისტეტის მისია, რომელიც ქვეყნის ინტერესებთან ერთად ქართლის რეგიონის ინტერესებსაც ითვალისწინებდა, მისი მოსაზრებით სწორედ ეს იყო მისიის ის ნაწილი, რომელიც სპეციფიკას უსვამდა ხაზს, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლებისთვის სასურველი იქნებოდა თუ საბჭო გაიზიარებდა, რომ ეს იყო საკმარისი სპეციფიკა, ამასთანავე დაწესებულებისთვის საინტერესო იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მოსაზრება, თუ რა უნდა ყოფილიყო აღნიშნული სპეციფიკის გამომხატველი.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სამწლიანი სამოქმედო გეგმის დახვეწას, რომელსაც დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებდნენ.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის არსებითი მონაწილეობის უფრო მეტად ხელშეწყობასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითა შესაბამისი ბმულები, რომლითაც საბუთდებოდა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე აქტიურად იყო ჩართული.

რექტორმა, გიორგი სოსიაშვილმა დასძინა, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ფართო სპექტრი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, დაინტერესებული პირები და სხვა, საკმაოდ დიდი იყო ჩართულობა აღნიშნული საზოგადოებისა, რისი დამადასტურებელი ბმულები და შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა დაწესებულებას გააჩნდა, შესაბამისად მათ უზრუნველყვეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხალხის ჩართვა აღნიშნულ პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ადმინისტრაციული/ადამიანური რესურსების განცალკევებას კანცელარიისაგან, რაც ხელს არ უშლიდა მათი მუშაობის ეფექტურობას, მითუმეტეს მიუთითეს, რომ 2017 წლამდე ადმინისტრაციული ერთეული იყო ცალკე და მას შემდეგ გაერთიანდა, თუმცა ოთხწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სტრუქტურული ერთეულების ამგვარი საქმიანობა არ უშლიდა ხელს ადამიანური რესურსების ეფექტურ მართვას. ამასთანავე დასკვნაში ასახული იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენელთა არგუმენტირებული პოზიცია და მიუთითა აღნიშნული რეკომენდაციის მოხსნის შესახებ, თუმცა რეკომენდაციებიდან მოხსნილი არ იყო, მისი მოსაზრებით შეიძლებოდა ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო.

იურიდიული სამსახურის უფროსი, დავით კვერნაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. წარმომადგენლობითი საბჭოს როლის გაზრდის შესახებ მან განაცხადა, რომ გორის უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და წარმომადგენლობითი საბჭოს ფუნქციები გაწერილი იყო უმაღლესი განათლების შესახებ კანონსა და უნივერსიტეტის წესდებაში, შესაბამისად უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობა და მიზნები სწორედ ამ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით იყო განსაზღვრული. ექსპერტთა დასკვნაში საუბარი იყო, რომ წარმომადგენლობითი

საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებების საფუძველზე, მისი თქმით იყო საკითხები, რომლებიც სწორედ ასე მიიღებოდა, მაგ., ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურაზე ამტკიცებდა წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ასე ხდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზეც, ასევე აკადემიური პერსონალის კონკურსის ჩატარების წესი, ასევე შრომის ანაზღაურება პედაგოგიური დატვირთვა და ა.შ. აკადემიური პერსონალი იღებდა გადაწყვეტილებას და წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებდა, ზემოაღნიშნული რეგლამენტირებული იყო უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით. მისი თქმით იყო საკითხები, რომლებიც წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიიღებოდა კანცლერის წარდგენით, მაგ., ბიუჯეტი, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი, ადმინისტრაციული სტრუქტურის დამტკიცება, ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის დებულებების დამტკიცების საკითხი, უნივერსიტეტის საშტატო განრიგი, ხელფასის ოდენობა, თანამდებობრივი სარგოები და სხვა, სწორედ ეს გადაწყვეტილებები მიიღებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და წარდგენილი იყო კანცლერის მიერ. ასევე, იყო საკითხები, რომლებსაც წარმომადგენლობითი საბჭო იღებდა დამოუკიდებლად კანცლერისა და აკადემიური საბჭოს გარეშე, მაგ., ქონებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, როდესაც საუბარი იყო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემაზე, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებამდე დროებით სარგებლობაში გაცემასთან დაკავშირებით, რომელიც თანხმდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროსთან, სანამ ამ თანხმობას მიიღებდნენ, აუცილებელი იყო აღნიშნული საკითხი განხილულიყო წარმომადგენლობით საბჭოზე და სწორედ მისი თანხმობის შემდეგ გაიცემოდა სამინისტროებიდან შესაბამისი თანხმობები, ასევე, წარმომადგენლობითი საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერასთან დაკავშირებით, ან მის გასხვისებასთან დაკავშირებით, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, მათ მიერ წარდგენილი საკანონმდებლო/ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით აღნიშნული რეკომენდაცია არ უნდა ყოფილიყო გაზიარებული. გარდა ამისა საავტორიზაციო პერიოდი აიღეს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში წარმომადგენლობით საბჭოს 263 საკითხზე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება, რაც მეტყველებდა იმ ფაქტზე, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ძალიან მასშტაბური იყო, შესაბამისად 2.2 კომპონენტის რეკომენდაცია არ უნდა ყოფილიყო გაზიარებული, ასევე, შესაძლებელი იყო აღნიშნული საკითხის რჩევაში გადატანა.

2.3 კომპონენტში საუბარი იყო, რომ უნივერსიტეტს უნდა გაეძლიერებინა მართვის სტრუქტურებში მოქმედებს მართვის ორგანოების არჩევის წესი და გარდა ამისა, ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არჩევის წესი განსაზღვრული იყო უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით. კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაზე საუბრისას აღსანიშნავი იყო, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი იცნობდა ერთადერთ შემთხვევას, როდესაც სამოქმედო გეგმა უნდა ყოფილიყო განხილული, დაწესებულების ხელმძღვანელის არჩევისას, დანარჩენ შემთხვევაში სამოქმედო გეგმასა და კონცეფციას არ ითვალისწინებდა კანონმდებლობა, თუმცა ამის მიუხედავად უნივერსიტეტში, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ისე დეკანის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსებში აუცილებელი იყო, რომ მათ მიერ წარდგენილი ყოფილიყო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შემთხვევაში განვითარების გეგმა და კონცეფცია, ფაკულტეტის დეკანის შემთხვევაში კი ფაკულტეტის განვითარების გეგმა და კონცეფცია, აქედან გამომდინარე კონცეფციების განხილვის გარეშე არასდროს მომხდარა პირის არჩევა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე. რაც შეეხებოდა გამჭვირვალობასა და ღიაობას, უნივერსიტეტში არაერთი კონკურსი/არჩევნები ჩატარებულა, როგორც ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არჩევის, ისე აკადემიური პერსონალის არჩევის მიზნით, რისი შეფასებაც შეიძლება დადგენილიყო გარე შეფასების

საკითხად. უნივერსიტეტის მიერ გაცემული რამდენიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრებული იყო როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში, ასევე საერთო სასამართლოების სისტემაში. არცერთი დავა, რომელიც დაკავშირებული იყო კონკურსებთან/არჩევნებთან არ დასრულებულა უნივერსიტეტის საწინააღმდეგოდ, რაც მეტყველებდა იმ ფაქტზე, რომ უნივერსიტეტში ყველა არჩევნები ტარდებოდა გამჭვირვალედ, ასე რომ არ ყოფილიყო დაინტერესებული პირების მიერ შეტანილ სარჩელებს ექნებოდათ იურიდიული პასუხისმგებლობა და დამთავრდებოდა უნივერსიტეტის საწინააღმდეგოდ, გარადა ამისა დასკვნაში საუბარი იყო აკადემიური წევრების არჩევაზე განვითარების კონცეფციისა და გეგმის წარდგენაზე, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით აკადემიური საბჭოს წევრად შესაძლებელია არჩეულ იქნეს ფაკულტეტის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, მხოლოდ ეს წინაპირობა იყო განსაზღვრული, სხვა პირობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა, ასევე, აკადემიური საბჭოს წევრად არ შეიძლებოდა არჩეულიყო აკადემიური თანამდებობის პირი, რომელსაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია აკადემიური/ადმინისტრაციული თანამდებობა, შესაბამისად, როდესაც საუბარი იყო აკადემიური საბჭოს არჩევნებსა და დაბალ კონკურენციაზე, მაგ., 2 ადგილზე - 4 კონკურსანტს ჰქონდა განაცხადი შეტანილი ეს განპირობებული იყო იმით, რომ მათ აკადემიურ პერსონალს უკავია აკადემიური/ადმინისტრაციული თანამდებობა სხვა უნივერსიტეტებში, შესაბამისად მათ არ ჰქონდათ უფლება დაეკავებინათ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის პოზიცია. აღსანიშნავი იყო გარემოება, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არცერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბჭოს არცერთ წევრს არ მოეთხოვება არც განვითარება, არც კონცეფცია, განსახილველი დაწესებულების წესდების მიხედვით მათ უფლება ჰქონდათ ჩაეტარებინათ წინასაარჩევნო კამპანია და მოეწოდებინათ მათი მხარდაჭერისათვის. გამჭვირვალობის შესახებ ითქვა, რომ როდესაც საუბარი იყო დეკანის არჩევნებზე, კანონმდებლობით იგი უნდა ყოფილიყო ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, გარეშე პირს არ ჰქონდა აღნიშნული თანამდებობის დაკავების უფლება. ანალოგიური სიტუაცია იყო სხვა ადმინისტრაციულ პირებზე, როგორც ფაკულტეტის, ასევე თვითონ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე, მას სურდა ხაზი გაესვა, რომ ფაკულტეტის საბჭო აცხადებდა კონკურსს დეკანის თანამდებობის დასაკავებლად. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში არსებობდა საბჭოს ფორმირების 2 გზა, ფაკულტეტის საბჭოში უნდა შესულიყო აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელი ან გარკვეული ნაწილი, განსახილველი უნივერსიტეტის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოში შედის სრული აკადემიური პერსონალი, სწორედ ეს საბჭო აცხადებდა დეკანის არჩევნებს, ეს საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას, ადგენდა თუ რა დოკუმენტაცია უნდა ყოფილიყო წარდგენილი დეკანობის მსურველი კანდიდატის მიერ, აქედან გამომდინარე, გამჭვირვალობის თვალსაზრისით თვითონ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე იყო საუბარი და თვითონ იყვნენ უშუალოდ ჩართულები, თუ როდის დაიწყებოდა/დამთავრდებოდა საბუთების წარდგენა, როდის ჩატარდებოდა არჩევნები და ა.შ., აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით 2.3 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია არ უნდა ყოფილიყო გაზიარებული ავტორიზაციის საბჭოს მიერ.

2.4 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაციის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლევან მიდოდაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას აღნიშნულთან დაკავშირებით წარდგენილი ჰქონდა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმადაც ყველა ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო სტუდენტებთან/აკადემიურ პერსონალთან მოიცავდა სათანადო დოკუმენტაციას, ეთიკის კოდექსს და სხვა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ეთიკის კოდექსის დარღვევის არცერთი შემთხვევა არ იყო დაფიქსირებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ, რაც საკმაოდ ეჭვს იწვევდა. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით აღნიშნული გარემოება საკამათო

იყო, რადგან შესაძლოა არ მუშაობდა შესაბამისი რეგულაციები, მაგრამ ასევე შეიძლებოდა პირიქით, რომ კარგად მუშაობდა და ამიტომ არ ფიქსირდებოდა დარღვევები, შესაბამისად მხოლოდ ამაზე დაფუძნებით არ იქნებოდა სწორი აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა, მითუმეტეს პერსონალთან მიმართებით ეთიკის კოდექსის გამოყენების არაერთი შემთხვევა არსებობდა, უნივერსიტეტში ეს კულტურა არსებობდა, მაგრამ ის, რომ რომელიმე სეგმენტში ამგვარი ფაქტები არ ფიქსირდებოდა, არ იქნებოდა სამართლიანი, რომ ასეთი რეკომენდაცია გაცემულიყო.

პლაგიატთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ, მან განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები გარკვეულწილად ეთანხმებოდნენ აღნიშნულ საკითხს, პლაგიატის სისტემა დაწესებულებას არ გააჩნდა, ისინი ჩართულნი იყვნენ სართაშორისო საბიბლიოთეკო ქსელის კონსორციუმში და იყენებდნენ მათ შესაძლებლობებს, კარგი იქნებოდა ეს ავტორიზაციამდეც და მას შემდეგაც, რომ უნივერსიტეტს გადაედგა ქმედითი ნაბიჯები. დაწესებულების წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ ფორმასა და ჩანაწერს, რომლითაც წარდგენილი იყო შესაბამისი რეკომენდაცია, საუბარი იყო ყველა კურსზე, სადაც ერთი ნაშრომი ექვემდებარებოდა შეფასებას, მისი თქმით ნაშრომები სპეციფიკის მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო, წერითი ტესტი, მათემატიკური ამოცანები, შესაბამისად შეუძლებელი იყო პლაგიატზე საუბარი, დახურული კითხვები და ა.შ. თუკი ფორმულირება იქნებოდა სხვანაირი, ლოგიკურად სადაც მოითხოვდა ან სადაც შესაძლებელი იყო დაფიქსირებულიყო პლაგიატი და სხვა, გასაგები იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ გაჟღერებული ფრაზა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც ლოგიკური იყო, დაწესებულებას ფორმალური პრეტენზია გააჩნდა, მათ ესმოდათ, რომ საჭირო იყო გაუმჯობესება.

მისი განცხადებით, შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური თავისუფლების პრაქტიკაში გააზრებას. დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული ჰქონდა, რომ ასახული იყო უნივერსიტეტის ფუძემდებლურ დოკუმენტაციაში, როგორიცაა წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და ამასთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილება ამგვარი რეკომენდაციის წარდგენის თვალსაზრისით, ეფუძნებოდა სტუდენტების მიერ აკადემიური თავისუფლების არაკორექტულად შეფასებას. დასკვნიდან გამომდინარე მათი შესაბამისობით შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, დასკვნაში მითითებული იყო „აკადემიური თავისუფლების“ განმარტება ენციკლოპედია „ბრიტანიკადან“. დაწესებულება აღიარებდა, რომ „ბრიტანიკა“ ნამდვილად ღირსეული წყარო იყო, მაგრამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში იყო მითითებული, რომ ეს იყო სწავლა-სწავლებისა და კვლევის მეთოდოლოგიის თავისუფლება, რასაც დაწესებულება ასრულებდა და რეალურად/ფაქტობრივად ასე იყო, თუმცა შესაძლებელი იყო სილაბუსებზე გადახედვა. ასევე იყო შეფასების მეთოდები და სწავლა-სწავლების მეთოდები. აბსოლუტური თავისუფლება ჰქონდა დაწესებულების პერსონალს აღნიშნული კუთხით. შესაძლებელია 7-მა სტუდენტმა ვერ ჩამოაყალიბა აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული მოსაზრება და შესაბამისად, რჩევის სახით მისაღები იყო ამ კუთხით გაძლიერება, თუმცა 7 სტუდენტი, მაშინ, როდესაც 1700-ზე მეტი სტუდენტი ირიცხებოდა, ამ შემთხვევაში არც ისინი და არც ექსპერტები არაფერ შუაში არ იყვნენ, რადგან შერჩევა ხდებოდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მაგრამ არ იქნებოდა კორექტული დასკვნა იმ 7 სტუდენტის მოსაზრებიდან გაკეთებულიყო.

საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების დივერსიფიცირებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის 20-ზე მეტმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია და ამ ტიპის რეკომენდაციები არ მიუღიათ, ის რაც წარდგენილი იყო დასკვნის ტექსტში, იყო კონკრეტულად ინგლისური საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი სასწავლო კურსი, სადაც მითითებული იყო, რომ დახურული და ღია ტესტები ფასდებოდა ერთნაირად, 5 ქულიანი სისტემით, რაც ასევე ხაზგასმული იყო ექსპერტის მიერ, რომ ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, ნამდვილად თვალშისაცემი პრობლემა იყო, რადგან შეუძლებელი იყო დახურული და ღია საკითხი შეფასებულიყო ერთნაირად 5 ქულიანი

სისტემით, თუმცა, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლებმა ნახეს ზემოაღნიშნული სილაბუსი, ასე არ იყო ფაქტობრივი გარემოებები არ ემთხვეოდა იმ ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილი იყო და ასევე დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითა, თუმცა მათთვის გაუგებარია ექსპერტთა ჯგუფმა სახელწოდებაში დაუშვა შეცდომა, თუ რა მოხდა, მაგრამ რაც წარდგენილი იყო არ შეესაბამებოდა ფაქტობრივ გარემოებებს.

4.1 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის (დაინიშნოს ერთი ან მეტი სპეციალური პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის ან ადამიანური რესურსების სამსახურში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ტრენინგის საჭიროებების შეფასების კოორდინაციაზე და განხორციელებაზე, ასევე, პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესებზე) შესახებ იურიდიული სამსახურის უფროსმა, დავით კვერნაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულის თაობაზე რექტორის ბრძანება იქნა გამოცემული 2021 წლის 4 ივნისს და შესაბამისად რეკომენდაცია უკვე შესრულებული იყო და დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელი იყო წარდგენა.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა, ციური დურულმა განმარტა, რომ უამრავი ტრენინგი ჩატარდა, რომელთაც არ დაკლებია კოორდინაცია.

5.1 კომპონენტთან არსებულ რეკომენდაციასთან (გამარტივდეს გასაჩივრების პროცედურა, რაც შეიძლება გამოიხატოს სტუდენტთა წარმომადგენლების ჩართვით კომისიის შემადგენლობაში ან სხვა ქმედებებით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სტუდენტთა ნდობას და გასაჩივრების პროცედურის ეფექტიანობას) დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით ამგვარი ცვლილება ვერ აამაღლებდა პროცედურის ეფექტიანობას, ვინაიდან აღნიშნულ წარმომადგენლებს არ გააჩნდათ სათანადო კომპეტენცია შესაბამის სფეროში. ამჟამად მოქმედი პროცედურის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილ საპრეტენზიო კომისიაში ჩართულნი იყვნენ დარგის სპეციალისტები, სათათბირო ხმის უფლებით პასუხისმგებელი ლექტორი და ასევე ის სტუდენტი, რომელიც სადავოდ ხდიდა შეფასების შედეგს. საკითხი იმის შესახებ თუ სხვა პირები იქნებოდნენ ჩართულნი, მათ შორის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, სამართლებრივადაც პრობლემური იყო, რადგან პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ არსებული კანონმდებლობა დაწესებულების წარმომადგენლებს ავალდებულებდა, რომ პერსონალური მონაცემები მაქსიმალურად ყოფილიყო სხვებისათვის შეზღუდული სტუდენტის თანხმობის გარეშე, აქედან გამომდინარე სტუდენტური თვითმმართველობის ჩართულობა რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა და მეორე მხრივ რამდენად გააძლიერებდა ეფექტურობას, მაშინ, როდესაც სტუდენტები თვითონ დარგობრივი კუთხით არ იქნებოდნენ კომპეტენტურნი, აქედან გამოდინარე მათი მოსაზრებით შესაძლოა ესეც გადატანილი ყოფილიყო რჩევებში.

კორპორატიული ელ-ფოსტების შესახებ რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს არ უჭირდათ სტუდენტებთან კომუნიკაცია ელ-ფოსტების და სხვა საშუალებების გამოყენებით, თუმცა უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და კორპორატიული ელ-ფოსტები შეუქმნა სტუდენტებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებდნენ 6.1, 6.2 და 6.3 კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციებს და მიაჩნდათ, რომ მათი გათვალისწინება გააძლიერებდა ინსტიტუციას.

7.1 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გიორგი ხორბალაძემ, განაცხადა, რომ არ იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან მოხდა ნიუანსობრივი გაუთვალისწინებლობა, ექსპერტებმა არ გაითვალისწინეს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში ბიუჯეტის ფორმირებასთან/ფორმასთან მიმართებაში გარკვეული ჩარჩო მოქმედებდა, ზღუდავდა კანონმდებლობა, მოქმედებდა კლასიფიკაციის კოდები, შაბლონური ბიუჯეტირების სისტემა, საბჭოს წევრებს რომელი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიც არ უნდა ამოეღო, ისინი გაჭრილი ვაშლივით ემსგავსებოდნენ ერთმანეთს, არსებითი სხვაობა მხოლოდ ციფრებში იქნებოდა, რაც გამომდინარეობდა ბიუჯეტირების შესახებ კანონის დაქვემდებარებიდან.

დაგეგმარების პროცესის შესახებ მან განმარტა, რომ მათთან აღნიშნული პროცესი არ იყო არც ერთ დღიანი, არც ერთ კვირიანი, ეს იყო 3 თვიანი პროცესი, ოქტომბერში იწყებდნენ პროცესს, რათა მომავალი წლის ბიუჯეტი ყოფილიყო ფორმირებული. დაწესებულებას ასევე ჰქონდა ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახური, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იყო ბიუჯეტის ფორმირებაზე მუშაობა, რომელსაც სამი თვით ადრე იწყებდა, მათ შორის ინფორმაციის მოძიება ხდებოდა ზეპირი/წერილობითი ფორმით, მიმდინარეობდა გასული წლის ბიუჯეტის ანალიზი, გასული წლის ხარჯვითი ნაწილის შეფასება და ამ ყველაფერზე დაყრდნობით მუშავდებოდა ბიუჯეტი.

დასკვნაში ეწერა, რომ კვლევისთვის გამიზნული თანხა ვერ მოიძებნა ბიუჯეტში, რაზეც კანცლერმა განაცხადა, რომ კვლევისთვის გამიზნული თანხა შეიძლება ყოფილიყო მკვლევარის ჰონორარი, შესაბამისად იგი ასახული უნდა ყოფილიყო სახელფასო მუხლში, როგორც ხელფასი. თუკი მკვლევარი უნდა დაფინანსებულიყო მივლინებით, ასახული უნდა ყოფილიყო მივლინების შესაბამის მუხლში, აქედან გამომდინარე ამ თანხის ერთ კონკრეტულ მუხლში ძიება იყო არასწორი მიდგომა, ანუ არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციფიკა. აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ ძალიან დახვეწილი პროცესი ჰქონდათ ამ მხრივ, რადგან იწყებდნენ 3 თვით ადრე, რაც დამტკიცებული იყო 2015 წელს, გაცილებით ადრე, ვიდრე აღნიშნული პროცესები დაიწყებოდა, „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესი“, აღნიშნული გახლდათ 3 გვერდიანი დოკუმენტი, სადაც დაწვრილებით იყო გაწერილი რა პროცედურას გადის ბიუჯეტი შედგენამდე და შესაბამისად ფიქრობდნენ, რომ ამ კუთხით უნივერსიტეტს არ ჰქონდა პრობლემა.

ასევე, იყო ჩანაწერი, რომ უნდა მომხდარიყო აქტივებისა და მენეჯმენტის აქტივობების პირობითი გამიჯვნა პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების საქმიანობებს შორის. კანცლერმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ არა პირობითი, არამედ არსობრივი გამიჯვნა, ანგარიშებიც კი განსხვავებული იყო, სხვა ანგარიშზე ათავსებდნენ თანხას, რომელიც პროფესიულ მიმართულებაზე ერიცხებოდათ და ნებისმიერი შესყიდვა, რომელიც უნივერსიტეტში პროფესიული მიმართულებისთვის კეთდებოდა, აღინიშნებოდა აბსოლუტურად ცალკე, საერთოდ გამიჯნული ჰქონდათ და არასდროს მომხდარა აღრევა მათ შორის. ნებისმიერ მომენტში შეეძლოთ ეთქვათ სად და რამდენი ჰქონდათ თანხა, აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ გაიზიარეს აღნიშნული რეკომენდაცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს სურდა ხაზი გაესვა 7.1 კომპონენტთან არსებული რეკომენდაციის ერთ გარემოებას, მითითებული იყო, რომ 7.1 კომპონენტთან არსებული რეკომენდაციები უნდა შეხებოდა მატერიალურ რესურსებს და არანაირად არ იყო გათვალისწინებული კრიტერიუმები, არ იყო გათვალისწინებული მენეჯმენტთან, სტრატეგიულ დაგეგმვასთან ან საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები ან ინდიკატორი/მტკიცებულებები, რაც შეიძლება ასევე გამხდარიყო არგუმენტი იმისა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გადასულიყო რჩევების ნაწილში.

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ რეკომენდაციას შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

იურიდიული სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ, როდესაც შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი ძალაში შევიდა და უნივერსიტეტს დაევალა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა, მაშინვე დაიწყო საუბარი ორი თანამშრომლის გადამზადებაზე, რადგან ეს იყო წინაპირობა შესაბამის პროგრამაზე აკრედიტაციის გავლისა, შემდეგ დაემთხვა პანდემია და ვეღარ მოხდა ზემოაღნიშნული ტრენინგის გავლა. ამ ეტაპზე გამოცხადებული იყო კონკურსი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის 2 ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა დასრულებულიყო, ასევე დაწესებულებას შეეძლო წარედგინა ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაციაც შესრულებულია.

7.3 კომპონენტთან გაწერილ რეკომენდაციასთან (უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს ან შეიძინოს ყოვლისმომცველი და ინტეგრირებული სასწავლო პროცესის, ბუღალტრული აღრიცხვისა და

საქმისწარმოების მენეჯმენტის IT სისტემა) დაკავშირებით რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის მართვის პროგრამად იყენებდა ორიგინალურ პროგრამას, რომელიც ყოვლისმომცველი იყო, პრაქტიკულად არ იყო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გარდა განსახილველი უნივერსიტეტისა, ეს იყო ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული, აკადემიური პროცესის მონიტორინგთან დაკავშირებული შესაძლებლობები. მას სურდა ხაზი გაესვა, რომ მათ პროგრამას გააჩნდა ის მოდულიც, რომელიც საქმის წარმოებასთან იყო დაკავშირებული, თუმცა არ იყენებდნენ, რადგან ჩართულნი იყვნენ e-Flow-ს საქმის წარმოების ერთიან სისტემაში, რომელიც იყო განათლების სამინისტროსთან დაქვემდებარებაში მყოფი ყველა სსიპ-ისათვის სავალდებულო და განსახილველი უნივერისტეტი 2015 წლიდან ჩართულნი იყვნენ აღნიშნულ პროგრამაში. მათ ჰქონდათ და ვერ იყენებდნენ. რაც შეეხებოდა ფინანსურ ურთიერთობებს მან განაცხადა, რომ როგორც სსიპ-ი ვალდებული იყო ხაზინასთან ურთიერთობა ეწარმოებინა სპეციალური სახაზინო პროგრამის საშუალებით, ანუ აქაც მოკლებულნი იყვნენ იმის საშუალებას, რომ რაღაც ინტეგრირებულს ეარსება, მითუმეტეს დღევანდელი მათი რეალობა, ცნობილი იყო რა სახსრები/დრო სჭირდებოდა მათ შემუშავებას და შემდეგ დანერგვას, თუმცა ამის არანაირი საფუძველი არ დაუდასტურებია ექსპერტთა ჯგუფს, რომ რაიმე კუთხით პროცესები, ხარვეზები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ 7.4 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია შინაარსობრივად მსგავსი იყო წინა რეკომენდაციებისა და გულისხმობდა, რომ უნივერსიტეტს უნდა უზრუნველეყო ბიზნეს პროცესების ეფექტიანობა, უფრო ეფექტიანი ბიუჯეტის შედგენისა და ფინანსური დაგეგმვის ღონისძიებების დანერგვით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა ისაუბრეს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის საკმაოდ გააზრებულად, დაგეგმილი, ნორმატიული აქტით გაწერილი პროცესები ჰქონდათ და იმის შესამოწმებლად, რომ ბიუჯეტი კარგად მუშაობდა დასტური იყო ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონია შეფერხება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ ამთ შორის არ ჰქონიათ შეფერხება არც პანდემიის პირობებში და არასდროს შეფერხებულა დაწესებულების განვითარებაზე ზრუნვა, მიყვებიან სტრატეგიული განვითარების გეგმას. მან განაცხადა, რომ შესაძლებელია ყოფილიყო რაიმე ღონისძიება, რომელიც უფრო დაეხმარებოდათ, კონკრეტიზაციის შემთხვევაში დაწესებულება მზად იყო რჩევად მიეღო აღნიშნული.

რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, მან განაცხადა, რომ განსახილველი უნივერსიტეტი რეგიონში ახალგაზრდების დატოვებაზე იყო ორიენტირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, იგი დაინტერესდა სწორად მიხვდა თუ არა, რომ ეთიკის კოდექსის გამოყენების შემთხვევები არ დაფიქსირებულა სტუდენტთა მიმართ, დაფიქსირდა მხოლოდ პერსონალის მიმართ.

მან ასევე მიმართა ექსპერტებს, 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით მან მოისმინა დაწესებულების განმარტება და მისთვის ცნობილი იყო, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ყველაფერი გაწერი ჰქონდა კანონმდებლობით და შესაბამისად რა ფუნქციები უნდა ჰქონოდა საბჭოს ესეც რეგულირდებოდა, დაინტერესდა თუ რატომ გაჩნდა აღნიშნული კითხვა/მოსაზრება, რომ წარმომადგენლობითი საბჭო არ იყო ფუნქციური ორგანო, გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღებოდა და ა.შ.

მას სურდა ექსპერტთა ჯგუფს დაეკონკრეტებინა 2.3 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რადგან რეკომენდაცია ზოგადი იყო და დაინტერესდა თუ რას გულისხმობდნენ კონკრეტულად.

გასაჩივრების წესთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია იყო შემდეგნაირი „გამარტივდეს გასაჩივრების პროცედურა, რაც შეიძლება გამოიხატოს სტუდენტთა წარმომადგენლების

ჩართვით კომისიის შემადგენლობაში ან სხვა ქმედებით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სტუდენტთა ნდობას და გასაჩივრების პროცედურის ეფექტიანობას“, დაინტერესდა თუ რა იყო აღნიშნული რეკომენდაციის მიზანი.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა დაეზუსტებინათ რეკომენდაცია 2.1 კომპონენტთან დაკავშირებით, რადგან დაწესებულებამ წარადგინა პოზიცია, რომ მას ჰქონდა ადამიანური რესურსების განყოფილება, რომელიც გაერთიანებული იყო ადმინისტრაციულ ერთეულთან, დაინტერესდა წარმოადგენდა თუ არა უნივერისტეტის მცრიდან ხელისშემშლელ ფაქტორს მიზნის განსახორციელებლად, ვინაიდან ასეთი ფორმით სხვა უნივერსიტეტშიც იყო, თუმცა პრობლემა არ შექმნილა.
საბჭოს წევრმა,**მარინაქორიძემ 1.3 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ დაინტერესდა თუ რომელი სამიზნე ჯგუფები მონაწილეობდნენ ან თუ იყო შექმნილი ჯგუფები, რომლებიც სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შექმნაში მონაწილეობდნენ და თუ იყო რატომ ჰქონდათ ექსპერტებს გაწერილი რეკომენდაციაში.**
საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ განაცხადა, რომ 2.6 კომპონენტთან წარდგენილია რეკომენდაცია „უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლების პრაქტიკაში გააზრება და რეალიზება მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ“, მიმართა ექსპერტებს, დაინტერესდა თუ რის გამო გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია.
საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა განაცხადა, რომ მისი ერთი კითხვა ეხებოდა მისიაში რეგიონალური მნიშვნელობის გამოკვეთას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმაც ისაუბრეს, საბჭოს წევრმა ნახა დაწესებულების მისია, სადაც გაწერილი იყო, რომ რეგიონისთვის მნიშვნელოვანი უნივერსიტეტი იყო, დაინტერესდა უნივერსიტეტის წარმომადგენლების მოსაზრებით, ხომ არ იქნებოდა უკეთესი, რომ გამოეკვეთათ უფრო სპეციფიკურობა იმ რეგიონის, რომელშიც აღნიშნული უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა.
რაც შეეხება მეორე კითხვას, მან განაცხადა, რომ ეთიკის კომისიას არცერთი შემთხვევა არ განუხილავს, თანამშრომლებს შორის დისციპლინური სამართალწარმოების და დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, ხომ არ არსებობდა მედიაციის სხვა ინსტიტუცია, რაც წინაპირობა იყო და შემდეგ აღარ ხდებოდა დავების მისვლა ეთიკის კომისიამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს პასუხი გაეცათ საბჭოს წევრების შეკითხვებისთვის.
ექსპერტი, სესილი კადარია მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან აპელაციის პროცედურებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა, როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებსაც, წარდგენილი სტუდენტების დაახლოებით 80%-ს ისე ჰქონდა უნივერსიტეტი დამთავრებული, რომ გასაჩივრების მექანიზმი საერთოდ არ ჰქონდათ გამოყენებული, ანუ კითხვაზე გაუსაჩივრებიათ თუ არა ოდესმე ნაშრომი, პასუხი იყო უარყოფითი, მისთვის გასაგები იყო, რომ შესაძლებელი ბრწყინვალე სტუდენტი ყოფილიყო, რადგან თვითონაც წითელ დიპლომზე ჰქონდა სწავლა დამთავრებული, მაგრამ გასაჩივრების მექანიზმი ჰქონდა გამოყენებული და იცოდა ამის შესახებ, წარდგენილი სტუდენტებიდან პირადად არცერთ მათგანს ჰქონდა გამოყენებული და მხოლოდ ერთმა განაცხადა, რომ მისმა კურსელმა გამოიყენა. პირველი კითხვა გამოიწვა საკითხმა იყო თუ არა გასაჩივრების მექანიზმი მარტივი სტუდენტებისთვის, დაწესებულებას ცალსახად გააჩნდა აპელაციის მექანიზმი, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ეს იყო ძალიან კომპლექსური, პირველ რიგში იმიტომ, რომ დეკანის სახელზე განცხადების დარეგისტრირებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, თითქოს სარჩელი შეჰქონდა სტუდენტს სასამართლოში, დადგენილებაში პირდაპირ ეწერათ, რომ თუ პროცედურულ დარღვევებს არ მოიცავდა აპელაციის საჩივარი არ განიხილებოდა, როგორც პრაქტიკაში გახდა ცნობილი და აღნიშნული კითხვა სტუდენტურ თვითმმართველობასაც დაუსვეს, როგორც ცნობილი გახდა სტუდენტი, რომელიც ასაჩივრებს ნაშრომს, პრაქტიკაში აი იყო ჩართული

აღნიშნულ პროცედურაში, მაშინ, როდესაც ლექტორი, რომელმაც ქულა დაუწერა და შეფასება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა არა მხოლოდ კომისიის წევრი იყო, არამედ სმის მიცემის უფლებაც ჰქონდა, აქედან გამომდინარე, სტუდენტებთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ ერთ-ერთი სტუდენტი არ იყო კმაყოფილი და შესთავაზა დეკანატს, რომ იქნებ სტუდენტის წარმომადგენელიც ყოფილიყო ჩართული აპელაციის პროცესში, თუნდაც კომისიის წევრად, რადგან პროცედურა იყო, მაგრამ რთულად ხორციელდებოდა, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიზანი იყო რეკომენდაციის სახით მიეცათ საშუალება უნივერსიტეტისთვის, რომ განევითარებინა გასაჩივრების მექანიზმი, რადგან, როდესაც სტუდენტი ასაჩივრებდა არ უნდა ეფიქრა ფორმალურ დასაშვებობას აკმაყოფილებდა საჩივარი თუ მატერიალურ მხარეს, ეს იყო ექსპერტთა ჯგუფის მიზანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს პასუხი გაეცათ საბჭოს წევრების შეკითხვებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლევან მიდოდაშვილმა ფორმალური მოთხოვნების შესახებ განაცხადა, რომ მიზეზი: „გუშინ დაბადების დღეზე ვიყავი და ჩემი პასუხები არ იქნებოდა საკმარისი“ საჩივარი არ იქნებოდა მიღებული. მისი თქმით სტუდენტიც იყო ჩართული, როგროც აქტიური წევრი და ლექტორი, რომლის შეფასებული ნაშრომიც გასაჩივრდა მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით იყო ჩართული. რაც იყო ხაზგასმული მარეგულირებელში.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა, ციური დურულმა დასძინა, რომ გაწერილი იყო სასწავლო პროცესის მარეგულირებელშიც, ექსპერტებთან საუბრისას თვითონ განაცხადა აღნიშნულ დეტალზე და მისთვის უცნაური იყო, რომ ექსპერტს არ ახსოვდა ფაქტები, ან დამახინჯებით წარადგინა საბჭოს წინაშე, საუბარი იყო იმაზე, რომ სტუდენტი აქტიურად მონაწილეობდა, საგნის პედაგოგს კი არ ჰქონდა სათათბირო ხმის უფლება, აღნიშნული წესი ადრე არ იყო და ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩართეს სტუდენტი გასაჩივრების წესში. ასევე მან გამოთქვა ინტერესი დანაშაულად ითვლება თუ არა, რომ 1500 სტუდენტიდან 6-ს არ ჰქონდა გასაჩივრების გამოცდილება.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა აკეთებდა თუ არა დაწესებულება სტატისტიკას, რამდენი პროცენტი ასაჩივრებდა და აქედან რამდენი იყო წარმატებული აპელაცია.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ასეთი სტატისტიკა შეიძლება არ ჰქონოდათ, მაგრამ სამართლის პროგრამების საპილოტე რეჟიმში გაიარეს აკრედიტაცია 2 წლის წინ, უამრავი ოქმი და გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტაცია და ყველაზე მთავარი რაც იყო, რომ არ დარღვეულიყო სტუდენტთა ინტერესი და არ გაუარესებულიყო, დებულებაში იდო ის მომენტი, რომ უარესით არ უნდა შეცვლილიყო შედეგი, რაც არ უნდა პირიქით ყოფილიყო, ეს შეიძლება ლოიალურიც ყოფილიყო, დაწესებულებას ეს ყველაფერი მარეგულირებელში ჰქონდა გათვალისწინებული.

იურიდიული სამსახურის უფროსმა, დავით კვერნაძემ განაცხადა, რომ „ონლაინ“ სწავლების პირობებში გაამარტივეს და დეკანის ელ-ფოსტაზე შეეძლო სტუდენტს გაგზავნამ ანუ სტუდენტს აღარ სჭირდებოდა ადგილზე მისვლა, არაერთი მსგავსი შემთხვევა იყო და ჰქონდათ შესაძლებლობა წარედგინათ მაგალითები, როდესაც სტუდენტებმა ისარგებლეს გასაჩივრების მექანიზმით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა, ლევან ცაგარელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი 2.1 კომპონენტთან დაკავშირებით დაეთანხმა დაწესებულებას, ნამდვილად შეიძლებოდა კანცელარიას შეეთავსებინა ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციაც, შესაბამისად თუ საბჭოს არ ექნებოდა რაიმე საწინააღმდეგო, აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლებელია გადასულიყო რჩევაში, რეკომენდაციად გაიწერა, რადგან ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტაცია კანცელარიის ფუნქციების შესახებ, რომელიც უკავშირდებოდა ადამიანური რესურსების მართვას და რადგან აღნიშნული ფუნქციები მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული გეგმის განხორციელებისთვის ჩათვალეს, რომ ეს

ყველაფერი სადმე უნდა გაწერილიყო, მოგვიანებით მოიძებნა შესაბამისი დებულება სადაც აღნიშნული გაწერილი იყო, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს შეეძლო საბჭოსთან ეშუამდგომლა 2.1 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის რჩევაში გადასვლასთან დაკავშირებით.

2.2 კომპონენტთან დაკავშირებით, მისი თქმით, ესმოდა, რომ ეს იყო კანონმდებლობით მოთხოვნილი ერთეული, რომელიც ამტკიცებდა უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუმცა რადგან აღნიშნული ერთეული არსებობდა უნდა გამართულიყო მსჯელობა, რომლის ფუნქციურობა გაიზომებოდა ზოგიერთ გადაწყვეტილებაზე უარის თქმით, რადგან მუშაობის სხვაგვარად გაზომვა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ინტერვიუების პროცესში ექსპერტთა ჯგუფს უთხრეს, რომ მსჯელობდნენ გარკვეულ საკითხებზე, მაგრამ როდესაც სთხოვდნენ გაეხსენებინათ გადაწყვეტილების დაბრუნების ან არ მიღების ერთი კონკრეტული შემთხვევა, ასეთი შემთხვევა ვერ გაიხსენეს, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ ეს არ იყო გადაწყვეტილებების მიმღები ერთეული.

2.3 კომპონენტთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ გამჭვირვალობის შესამოწმებლად პირველი ინდიკატორი მისთვის იყო კონკურენცია, ანუ რამდენიმე კონკურენტი და მათგან ერთის არჩევა, ასევე აღნიშნულ კონკურენტებს წარდგენილი უნდა ჰქონოდათ ხედვა, რომელ დოკუმენტებსაც ექსპერტთა ჯგუფი ვერ გამოითხოვდა, რადგან ამას არანაირი აზრი არ ექნებოდა და არც იქნებოდა დამაჯერებელი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც წარდგენილი იყო 2 კანდიდატურა და იყო გარკვეული განხილვა მათი პოლიტიკური ხედვისა, მაგრამ ერთი შემთხვევა არ იყო საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ ნამდვილად განიხილებოდა ხოლმე უნივერსიტეტში აღნიშნული საკითხი, იყო კონკურენცია და შერჩევა ხდებოდა გამჭვირვალედ შესაბამისად უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია, რომ ეზრუნა კონკურენციაზე, ექსპერტთა ჯგუფს არც ერთი რეკომენდაცია არ მიაჩნდა რთულად განსახორციელებლად და იმ შემთხვევაშიც კი, თუ 2.1 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია გადავა რჩევაში სტანდარტის შეფასება დარჩება, როგორც „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება დაწესებულებას თავისუფლად შეეძლო 1 წლის ვადაში.

2.3 კომპონენტთან დაკავშირებით მან განცხადა, რომ მისასალმებელი იყო, რომ ეთიკის კოდექსი აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით ხორციელდებოდა, იყო საჩივრები, სასამართლოები, თუმცა სტანდარტის მიხედვით ეთიკის კოდექსი უნდა ყოფილიყო გაზიარებული საუნივერსიტეტო საზოგადოების, მათ შორის სტუდენტების მიერ და მას არა მარტო პერსონალის, არამდე სტუდენტების მიმართაც უნდა ემუშავა, რაც ვერ ნახეს. როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა თუ რა იყო ეთიკის კოდექსიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, პასუხი ვერ მიიღეს ვერც სტუდენტების და ვერც პერსონალის მხრიდან, რაც ნიშნავდა, რომ ეთიკის კოდექსი კი იდო ხელშეკრულებებში, თუმცა მას ჰქონდა ფორმალური ხასიათი, გაზიარება და პოტენციალი არ ჰქონდა, შესაბამისად უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია ხელი შეეწყო ეთიკის კოდექსის გაზიარებისთვის.

პლაგიატთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დასკვნაშიც ხაზგასმით ეწერა, რომ საქმე არ ეხებოდა არც დახურულ ტესტს, არც ქუიზს, არც მათემატიკის ამოცანას, საქმე ეხებოდა მხოლოდ ესსე-ს ტიპის პასუხს, რომ უნდა შემოწმებულიყო პლაგიატზე, ექსპერტთა ჯგუფმა ძალიან ბევრ ინსტანციას ჰკითხა და სრული სურათი მალევე მიიღეს, სადაც ჩანდა, რომ პლაგიატის ამოცნობის მექანიზმის გამოიყენებოდა საკონფერენციო ნაშრომისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის შემთხვევაში, საბაკალავრო დონეზე საერთოდ არ გამოიყენებოდა და ამ მხრივ მიაჩნდა, რომ შეუძლებელი იყო პლაგიატი საბაკალავრო დონეზე არ შემოწმებულიყო. დაწესებულების მხრიდან იმის მტკიცება, რომ საბაკალავრო დონეზე პლაგიატს არ ამოწმებდა, რადგან სხვადასხვა ტიპის დავალებები ჰქონდა, ეს არგუმენტი ვერ იქნებოდა.

აკადემიური თავისუფლების შესახებ აღნიშნა, რომ როდესაც სტუდენტებს კითხეს თუ როგორ ესმოდათ აკადემიური თავისუფლება, რადგან სტანდარტი ითხოვდა ყოფილიყო გაზიარებული/გააზრებული უნივერსიტეტის მთელი საზოგადოების მიერ, სტუდენტებმა

უპასუხეს, რომ მათი აკადემიური თავისუფლება მდგომარეობდა მაინორ პროგრამის არჩევის თავისუფლებაში და რიგ შემთხვევაში აერჩიათ საგნები, თუმცა აკადემიური თავისუფლება ბევრად მეტს ნიშნავდა, მაგ., სტუდენტი არ უნდა ჩაითვალოს თუ თავის აზრს გამოთქვამს ლექციაზე, უნდა მიეჩვიოს თავისი აზრის გამოთქმას, რაც პირდაპირ კავშირში იყო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან, იქნებოდა დემოკრატიულად მოაზროვნე თუ ვერტიკალურად, ამიტომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ვერ დაეთანხმა დაწესებულებას.

იურიდიული სამსახურის უფროსმა წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობის შესახებ განაცხადა, რომ ბოლო 6 წლის განმავლობაში 263 საკითხზე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება, დაწესებულების წესდების მიხედვით წარმომადგენლობითი საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი გადაწყვეტილებითა და ოქმით, მსჯელობა განვითარებული იყო აღნიშნულ ოქმებში და შეეძლოთ გაეგზავნათ არაერთი ოქმი. რაც შეეხება უარყოფასა და გადაწყვეტილების მიღების საკითხს, იყო შემთხვევები, როდესაც მართვის ერთი ორგანო განსხვავებულად ფიქრობდა და წარმომადგენლობითმა საბჭომ განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო, მაგ., დაწესებულებას დაიჯარებული ჰქონდა გარკვეული ტერიტორია და საუბარი იყო იჯარის თანხის გადავადებაზე, უნივერსიტეტის მართვის სხვა ორგანოები საუბრობდნენ ხელშეკრულების შეწყვეტაზე, მაგრამ წარმომადგენლობითმა საბჭომ მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილება, მოიჯარეს მისცა უფლება ეტაპობრივად გადაეხადა ის თანხა, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია ვერ გაიზიარეს.

კონკურენციის შესახებ მან განაცხადა, რომ თვითონ იყო იურიდიული სამსახურის უფროსი და შეეძლო არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება წარედგინა, როდესაც საუბარი იყო კონკურენციის პირობებში გასაჩივრების შესახებ, ადმინისტრაციული თანამდებობების დასაკავებლად არჩევნები ტარდებოდა 4 წელში ერთხელ და ბოლო 2 არჩევნები რექტორის თანამდებობის დასაკავებლად, ერთი საქმე წავიდა სასამართლოში, ერთი წავიდა შიდა აუდიტის დეპარტამენტში, ორივე მათ სასარგებლოდ გადაწყდა, თუმცა იყო კონკურენცია. დეკანის არჩევნებზეც იყო იგივე შემთხვევა.

რექტორმა განმარტა, რომ კონკურენციის რამდენიმე ფაქტი არსებობდა დეკანის ერთ-ერთ პოზიციაზე იყო არჩევნები და ერთ-ერთმა კანდიდატურამ ბოლო დღეებში მოხსნა კანდიდატურა, ასეთი მრავალი ფაქტი ფიქსირდებოდა, ფაკულტეტზე არჩეული პროფესორი თუ არ იყო არ ჰქონდა უფლება გარეშე ადამიანს მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა პოზიციებზე, როგორებიც იყო ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ აღნიშნული კანონში იყო გაწერილი და დაწესებულება ვერ შეცვლიდა.

იურიდიული სამსახურის უფროსმა ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შეეძლოთ არაერთი სასამართლო პრაქტიკის წარდგენა, როდესაც ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ზომები, რაც შეეხებოდა ეთიკის კოდექსის პოპულარიზაციას, ყოველწლიურად არაერთი ტრენინგი ტარდებოდა, ბოლო პერიოდში კი Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ონლაინ ჩატარდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვისაც, რაზეც ასევე ჰქონდათ წარდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისი ბმულები.

აკადემიური თავისუფლების შესახებ განაცხადა, რომ საუბარი იყო სტუდენტის მიერ ლექციის განმავლობაში თავისი აზრის გამოხატვის შესაძლებლობაზე, აკადემიური თავისუფლება მისი მოსაზრებით უმაღლესი განათლების სფეროს რეგულირების საგანი იყო, ხოლო გამოთქმული მოსაზრება სიტყვის და გამოხატვის შესახებ კანონით იყო დარეგულირებული და გამოხატვის თავისუფლება დაცული იყო კონსტიტუციითაც, შესაბამისად დაცული იყო უნივერსიტეტშიც და აღნიშნული მიმართულებით არასდროს ჰქონიათ.

საბჭოს წევრი, **მარინა ქორიძემ შეახსენა მის მიერ დასმული შეკითხვა.**

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ჰყავდათ სამიზნე ჯგუფები, არაერთი შეხვედრა განხორციელდა, როგორც სტუდენტებთან, ისე პერსონალთან,

დამხმარე პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, რისი დამადასტურებელი ოქმები, ბმულები და ფოტომასალა ჰქონდათ. 2018 წლიდან პერმანენტულად მიმდინარეობდა აღნიშნული სამუშაოები, მისიაში/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანა, შემდეგ მათი მოდიფიცირება, ნამდვილად აქტიურად იყვნენ ჩართულნი დაინტერესებული მხარეები, მისიასთან დაკავშირებით დაწესებულებამ 5 ოქმი წარადგინა, რომელთა მიღმაც უამრავი შეხვედრაა და სოც. ქსელშიც სისტემატურად თავსდებოდა ინფორმაცია, დაწესებულებას აქტიური დამსაქმებლები ჰყავდათ, რომლებიც იდეებითაც შედიან ხოლმე, რეგიონის მოსახლეობა მთლიანად მათი სამიზნე ჯგუფი იყო და დაინტერესებულნი იყვნენ, რომ ძლიერი უნივერსიტეტი ყოფილიყო.
რექტორმა განაცხადა, რომ გარეშე პირები არა მარტო სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებაში იყვნენ ჩართულნი, არამედ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დაათვალიერებინეს მათი კორპუსები და აჩვენეს ბიზნეს სექტორის მიერ ათვისებული სივრცე, რაც მათი ჩართულობის დამადასტურებელი იყო, რომ დამსაქმებლებსა და დაინტერესებულ პირებს სივრცეები ჰქონდათ უნივერსიტეტში, რაც პირველ რიგში დაწესებულების დაინტერესების საგანი იყო.
იურიდიული სამსახურის უფროსმა მედიაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მედიაციის ინსტიტუტი უნივერსიტეტში ცალკე არ ფუნქციონირებდა, მხოლოდ ჰქონდათ მექანიზმი, რომ თუ სტუდენტი თვლიდა, რომ მისი უფლება ირღვეოდა, არა მხოლოდ შეფასების კუთხით, არამედ ზოგადად პერსონალის მხრიდან, რექტორის ბრძანებით იქმნებოდა კომისია, რომელიც შეისწავლიდა აღნიშნულ საკითხს.
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ დააზუსტა იყო თუ არა ასეთი ტიპის მიმართვები.
იურიდიული სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ იყო ამ ტიპის შემთხვევები, როდესაც დავა არ მისულა სასამართლომდე და გადაწყდა ადგილზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 17:40 სთ
საბჭოს სხდომა განახლდა: 17:50 სთ

საბჭო ნაწილობრივ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებას, 2.1, 5.2 კომპონენტის რეკომენდაციები გადავიდა რჩევაში

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის 6 წლით ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. სტუდენტთა კონტიგენტი განისაზღვროს - 3000 სტუდენტით.

კენჭისყრისშედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 5
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, ერთი წელის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის “ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, პანდელის იპსილანდისი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მას სურდა გაეცნო ძირითადი მიგნებები და შემდეგ ეპასუხა სპეციფიკურ კითხვებზე ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან ერთად. მან განმარტა, რომ წარდგენილი რეკომენდაციები საკმაოდ დეტალურად იყო გაწერილი დასკვნაში და ეყრდნობოდა იმ ინტერვიუს შედეგებს, რომლებიც გასაუბრების დროს მიიღეს. მისი თქმით დაწესებულებისგან მიღებული არგუმენტირებული პოზიცია შეიცავდა სხვადასხვა წყაროს, მათ შორის წყაროებს ვებ საიტიდან, რომელიც იყო გადაკეთებული, გამართული, შევსებული და გამდიდრებული სხვადსხვა წყაროთი, მას შემდეგ, რაც ჩატარდა ვიზიტი და მიიღეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სავარაუდო იყო, რომ უნივერსიტეტს მიეჩნია ეს იქნებოდა კარგი პრაქტიკა თუკი ამას გააკეთებდნენ სწორედ პირველადი დასკვნის პროექტის შემდეგ.
მან განაცხადა, რომ დასკვნა არ ეყრდნობოდა მხოლოდ წერილობით დოკუმენტაციას, რომელიც უნივერსიტეტს ჰქონდა, მათ ასევე გაწერილი ჰქონდათ წესები, რეგულაციები და პროცედურები, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი იყო ის თუ რა ხდებოდა პრაქტიკაში, როგორ იმპლემენტირდებოდა ეს წესები, სწორედ ამ ლოგიკით იყო აგებული დასკვნა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დასკვნაში მოყვანილი ჰქონდათ მაგალითებიც. გაცემული იყო

80-მდე რეკომენდაცია, თუმცა აღნიშნული რეკომენდაციები გაცემული იყო დადებითი/კარგი განწყობით, იმ ლოგიკით, რომ ისინი გააუმჯობესებდნენ უნივერსიტეტის საქმიანობას და დაეხმარებოდა დაწესებულებას ხარისხის განვითარებაში, შესაძლებელია საბჭოს ეფიქრა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ძალიან ბევრი რეკომენდაცია და რეკომენდაციების რაოდენობა არ შეესაბამებოდა თითოეულ სტანდარტთან გაკეთებულ შეფასებას, მაგრამ შეფასება იყო უფრო იმაზე მაღალი ვიდრე უნდა ყოფილიყო აღნიშნულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სურდა ყურადღება გაემახვილებინა განათლების ორგანიზებასთან დაკავშირებით, სადაც ისინი მეტს ელოდნენ, განსაკუთრებით სამედიცინო განათლების მიმართულებით, მათ დაინახეს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, გაუგებრობები, გადაფარვები, სტუდენტებისთვის არასრული ინფორმაციის მიწოდებით, ასევე დღეების/საათების აღრევით, მაგ., ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აღმოაჩინეს, რომ სიმულაციურ კლინიკაში აღმოაჩინეს ორი ჯგუფი ერთდროულად გადიოდა პრაქტიკას. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სერიოზული პრობლემები დაინახა განათლების ხარისხთან დაკავშირებით, ქართველი ექსპერტები მისულები იყვნენ, თუმცა ვერ შეძლეს კლინიკების ნახვა, მათ ნახეს კლინიკების ინფრასტრუქტურა, თუმცა დეტალებმა გამოიწვია კითხვის ნიშნები ხარისხიან განათლებასთან დაკავშირებით, მაგ., ინგლისურ ენაზე დოკუმენტების არსებობის შესახებ, ასევე კლინიკური უნარების მაგალითების ვერ დასახელება. მიუხედავად იმისა, რომ იყო პანდემია და შესაძლებელია რთული ყოფილიყო ყველა სტანდარტის დაკმაყოფილება, განათლების ხარისხთან დაკავშირებით იმ დონითა და იმ რაოდენობით კითხვები არ უნდა გაჩენილიყო. მისი თქმით, კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უკავშირდებოდა განათლების ხარისხს, უკავშირდებოდა სტუდენტებსა და პროფესორებს, მიუხედავად იმის რომ რაოდენობრივად „გეომედს“ ყავდა სტუდენტები კითხვის ნიშანი ჩნდებოდა განათლების ხარისხთან დაკავშირებით, მათ აღმოაჩინეს, რომ განსახილველ უნივერსიტეტში სტუდენტების რაოდენობა მცირდებოდა, თუმცა სხვა უნივერსიტეტებიდან გარე მობილობით სტუდენტები გადადიოდნენ „გეომედში“, სადაც წამოიჭრა კიდევ ერთი პრობლემა, რომ „გეომედში“ გადასული სტუდენტები, არ იყვნენ იმ დონის დამაკმაყოფილებლები, რაც საჭირო იყო იმ სწავლების საფეხურსა და კურსზე, მაგ., მესამე საფეხურის სტუდენტი, რომელიც გადადიოდა „გეომედში“ შესაძლებელია, კრედიტების მხოლოდ 50% ჰქონოდა გავლილი, საუბარი იყო იმაზე, რომ შესაძლებელია ბოლო სემესტრში სტუდენტს არ ჰქონოდა გავლილი ძალიან მნიშვნელოვანი/საბაზისო კურსები, ექსპერტთა ჯგუფის თქმით თუ არ შეიცვლებოდა აღნიშნული მიდგომა, იგი აუცილებლად დააზიანებდა საუნივერსიტეტო, ხარისხიანი განათლების მიღებას.
პერსონალის განვითარების შესახებ მან განაცხადა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო პერსონალის განვითარება, თუმცა დაწესებულებას არ გააჩნდა მათი განვითარების ინდივიდუალური გეგმა, ძირითადი აქტივობები ხორციელდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის, ადამიანური რესურსებისა და სიცოცხლის ბოლომდე სწავლების სამსახურების ფარგლებში, მაგრამ ეს იყო დროდადრო და არა რეგულარულად, რადგან ბიუჯეტში გამოყოფილი თანხები იყო არასაკმარისი და მცირე, თუმცა სამედიცინო განათლების შემთხვევაში, ეს უნდა განხორციელებულიყო რეგულარულად, თუ ასე არ ხდებოდა, რადგან ექსპერტთა ჯგუფმაც ვერ დაინახა ეს, გასაკვირი იყო, თუ როგორ მოხდებოდა იმპლემენტირებული შედეგისა და გეგმების მიზნებთან თანხვედრა.
მან აღნიშნა, რომ იგივე თვალსაზრისით ასევე პრობლემა იყო ენობრივი კუთხით, ინტერნაციონალიზაციასა და კვლევით მიმართულებასთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა პერსონალის განვითარებას, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა სქემა და სისტემატური მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა იყო სამუშაო დატვირთვის სქემა, მათ რამდენჯერმე იკითხეს სამუშაო დატვირთვის სქემასთან დაკავშირებით, თუმცა ვერ მიიღეს ამომწურავი/მკაფიო პასუხი, თუ როგორ ხდებოდა ამის განხორციელება. სასწავლო პროცესის განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, იმ ფაქტმა, რომ 2027 წლისთვის დაწესებულება გეგმავდა სტუდენტთა რაოდენობის

გაორმაგებას, იმის ფონზე, რომ არ ზრდიდა აკადემიურ პერსონალს, რაც რთული წარმოსადგენი იყო, რადგან შესაძლებელი იყო არაპროპორციულად გაზრდილიყო, ანუ გაზრდილიყო სტუდენტების რაოდენობა და არა აკადემიური პერსონალი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს განცხადებით, კვლევითი აქტივობების ინტერნაციონალიზაცია იყო პერსონალის განვითარების ბიძგის მიმცემი, მიუხედავად იმისა, რომ დაინახეს რამდენიმე ხელჩასაჭიდი და ხელშესახები შედეგი, თუნდაც ის, რომ დაწესებულებას ჰქონდა 2 კვლევითი ლაბორატორია, მაინც მიიჩნიეს, რომ არსებული კვლევითი აქტივობები/შედეგები არ იყო დამაკმაყოფილებელი, რაც ასახეს დასკვნაში. კვლევითი მიმართულების შესახებ, მან განმარტა, რომ ხორციელდებოდა 14 კვლევა, აქედან 5 საგარეო მიმართულებით იყო, ჯამში 5 ადამიანი იყო ჩართული პროცესში, რაც საკმაოდ შეზღუდული რაოდენობა იყო. ეს იყო ადამიანთა ძალიან მცირე ჯგუფი და აუცილებელი იყო ადამიანთა რაოდენობის გაზრდა, გარდა რაოდენობრივი მაჩვენებლისა აუცილებელი იყო კვლევით ორგანიზებას მოეცვა ყველა სფერო, რადგან მხოლოდ სამედიცინო განათლება იყო ჩართული. შეიძლებოდა დასაფასებელი ყოფილიყო, რომ უნივერსიტეტს ერქვა უნივერსიტეტი და არა სასწავლო უნივერსიტეტი, თუმცა ამისთვის საჭირო იყო სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება, სამეცნიერო შედეგების გაუმჯობესება, სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა, მათ შორის საერთაშორისოდ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებსაც ჰქონდათ Impact ფაქტორი, დასაფასებელი იყო ქართულენოვანი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, თუმცა როდესაც უნივერსიტეტს ჰქონდა სურვილი და საუბრობდნენ კვლევით პოტენციალზე მნიშვნელოვანი იყო კვლევის შედეგები აღიარებული ყოფილიყო საეთაშორისო მასშტაბით, საერთაშორისო რეფერირებად/რეცენზირებად სამეცნიერო საზოგადოებასა და ჟურნალებში.
დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეემუშავებინათ კვლევითი დღის წესრიგი და ინდივიდუალური გეგმა, თუმცა დაწესებულებამ ეს ვერ გაიგო და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კვლევითი დღის წესრიგი არ გულისხმობდა იმის განსაზღვრას, თუ რა და ვის, როგორ უნდა ეკვლია, ეს იყო ერთგვარი სინერგია, სინთეზი, გაერთიანება აკადემიურ პერსონალს შორის, რადგან თანამედროვე კვლევები ერთმნიშვნელოვნად ხდებოდა ინტერდისციპლინური, უფრო მეტად „ქვემოდან-ზემოთ“ მიდგომაზე ორიენტირებული და ამ კუთხით უნივერსიტეტს უნდა შეემუშავებინა თავისი კვლევითი პროფილი, რაც შეეხებოდა ინდივიდუალურ გეგმას იგულისხმებოდა აკადემიური პერსონალის ინიციატივები ნებაყოფლობითობა, აღნიშნული პროცესის მონიტორინგი და მისი გეგმა, ინდივიდუალური გეგმა გულისხმობდა, რომ კონკრეტულ აკადემიურ პერსონალს თვითონ უნდა დაეგეგმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა, თუ რას ფიქრობდა მის გეგმებზე, სამეცნიერო მიმართულებით, მეორე მხრივ უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა ამ ყველაფრის მონიტორინგის გეგემა.
კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა პრობლემურად მიიჩნია იყო ინტერნაციონალიზაცია, რადგან ფაქტობრივად ამ მხრივ არაფერი კეთდებოდა, გარდა იმისა, რომ დაწესებულებას ჰყავდა უცხოელი სტუდენტები და დროდადრო ხორციელდებოდა ვიზიტები, ექსპერტთა ჯგუფმა ნახა 5 ორმხრივი შეთანხმება ერთი მხრივ „გეომედსა“ და მეორე მხრივ უცხოურ დაწესებულებას შორის აქტივობების მხრივ ვერაფერი დაინახეს, რადგან არაფერი გაკეთებულა, კიდევ ერთი იმედ გამაცრუებელი გარემოება იყო ის, რომ იმ პროგრამებზეც კი, რომელებიც წლების განმავლობაში ხორციელდებოდა და იმპლემენტირდებოდა არ იყო განხორციელებული Erasmus+-ის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, ანუ არცერთი აქტივობა არ იყო დაგეგმილი და როდესაც ექსპერტთა ჯგუფის წევრები ამ საკითხზე ესაუბრნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მათ უთხრეს, რომ დაგეგმავდნენ და განახორციელებდნენ, თუმცა თუ უნივერსიტეტს სურდა ყოფილიყო საერთაშორისო მოთამაშე, საერთაშორისო აკადემიური სივრცის ნაწილი, მათ ეს თავის დროზე უნდა გაეკეთებინათ.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ სამოქმედო გეგმა უნდა ყოფილიყო მეტად რეალისტური, სპეციფიკური და არა ზოგადი, იმისთვის, რომ დაგეგმილი, განხორციელებული და შეფასებული აქტივობები უფრო რეალისტურად განხორციელდეს/შეფასდეს, ასევე მნიშვნელოვანი იყო, გაძლიერებულიყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და მონაწილეობა მიეღო ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარების პროცესში, ასევე ორგანიზაციული სტრუქტურის აგებულება და მისი შინაარსი უფრო მეტად უნდა მორგებოდა უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს.

ექსპერტთა ჯგუფის თანა-თავმჯდომარე, ივანა ობორნა მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ყველაფერზე. მან აღნიშნა, რომ მისი მთავარი შეშფოთების საგანი იყო სამედიცინო განათლება და პერსონალი, უფრო კონკრეტულად კი პერსონალის საათობრივი დატვირთვა და საკითხი ისინი სრულ თუ ნახევარ განაკვეთზე იყვნენ დასაქმებულნი აღნიშნულ პროგრამებში. აღნიშნული ყველა საკითხი იყო ურთიერთ გადაჯაჭვული, მისთვის გაუგებარი იყო თუ როგორ უნდა განეხორციელებინათ კვლევა თუკი მათი აკადემიური პერსონალი ამასთანავე იყო ადმინისტრაციული პერსონალი, ან თუ აკადემიური პერსონალი სხვა უნივერსიტეტებშიც ასწავლიდა და იქაც იყო მოწვეული ან აკადემიური პერსონალი, როგორ უნდა შეენარჩუნებინა უნივერსიტეტს ტიპური მიდგომა, როდესაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სხვა უნივერსიტეტებშიც იყვნენ აკადემიური ან მოწვეული პერსონალი ამ თვალსაზრისით შეუძლებელი/რთული იყო ტიპური ხედვა და გზა შეენარჩუნებინა უნივერსიტეტს, განეხორციელებინა კვლევები და ჩართული ყოფილიყო ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

მან აღნიშნა, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დამწუხრება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ როდესაც ინტერვიუები იწყებოდა დასრულდა სწავლება, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო პასუხი თუ რატომ მოხდა ასე, მათ ბევრი კითხვა დასვეს და სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა დისკუსია, არსებობდა ორი მთავარი კითხვა: იყვნენ თუ არა სტუდენტები ინფორმირებულნი და თუ ეს მოხდა ვიზიტის განმავლობაში, როგორ ხდებოდა ეს ნორმალურ პირობებში, გაჩნდა კითხვის ნიშნები თუ რატომ ვერ მოხდა სასწავლო პროცესის ნახვა ვიზიტის განმავლობაში.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რაც დაინახეს იყო ის, რომ სურდათ ენახათ ცხრილები კლინიკური სწავლების პროცესში, აკადემიურ პერსონალს ეს ხელში არ ჰქონდა და რაც ყველაზე გამაოგნებელი იყო, ექსპერტთა ჯგუფმა მხოლოდ მოთხოვნის შემდეგ მიიღო ცხრილები, თუ როგორ უნდა ყოფილიყო სასწავლო პროცესი გაწერილი, ცხრილები დამტკიცებული იყო 29 მარტს, რაც სავარაუდოდ შუა სასწავლო სემესტრი ან დასასრული იყო, ანუ დამტკიცებული იყო ვიზიტის სიახლოვეს, იგი სვამდა კითხვებს თუ როგორ შეიძლებოდა კლინიკური პრაქტიკის ასე განხორციელება და მათ ჰქონდათ კითხვები თუ რანაირი განათლების პროცესი იყო და როგორ შეიძლება დაეკავშირებინათ ეს ყველაფერი განათლების ხარისხისთვის.

ექსპერტმა, ირმა მანჯავიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტები იყვნენ ორ კლინიკაში ეს იყო „პინეოს“ კლინიკა და გერმანული კლინიკა, დაწესებულების მიერ მიწოდებულ ცხრილში აღნიშნული იყო მეცადინეობები და ექსპერტთა ჯგუფი მივიდა მაშინ, როდესაც წესით უნდა ყოფილიყო მეცადინეობა, მაგრამ ვერ ნახეს, ორივე შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობით იყო გადატანილი, ერთ შემთხვევაში მშობელი გაუხდა ცუდად და მეორე შემთხვევაში სამინისტროში იყო დაბარებული, გადატანის შესახებ კი იცოდა დეკანატმა, თუმცა მათთვის უცნობი იყო და ექსპერტთა ჯგუფისთვის აბსოლუტურად უცნობი იყო თუ როგორ ხდებოდა თვითნებურად გადატანა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მანანა ცერცვაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ გაოგნებული იყო ასეთი მკაცრი შეფასებით,

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ცნობილი იყო, ავტორიზაციის პროცესი გულისხმობდა ავტორიზაციიდან ავტორიზაციამდე უნივერსიტეტის განვითარების შეფასებას, დაწესებულების წარმომადგენლებმა კი ვერცერთი სიტყვა მოისმინეს თუ რამხელა წარმატება და წინსვლის რამხელა გზა განვლო უნივერსიტეტმა 2014 წლიდან 2021 წლამდე, მას ასეთი არაფერი გაუგია, არადა ექსპერტებს ეს უნდა შეეფასებინათ და უნდა ეთქვათ რა იყო და რა მოხდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა პასუხი გაეცა დასმული კითხვებისთვის, ხოლო ექსპერტს რა და როგორ უნდა შეეფასებინა ამას საბჭო შეაჯამებდა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ 2019 წლის სექტემბერში გაიარა ავტორიზაციის მონიტორინგი, 2019 წლის დეკემბერში გაზარდეს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რაც ფაქტობრივად იგივე ავტორიზაციის პროცესს გულისხმობდა და 900-დან 2100-მდე გაზარდეს სტუდენტთა რაოდენობა, რაც უნდა მომხდარიყო 4 წლის განმავლობაში 300-300 სტუდენტის დამატება, ანუ არანაირ გასამმაგებასა და გახუთმაგებაზე საუბარი არ ყოფილა. ასევე 2019 წლის დეკემბერში უნივერსიტეტში დაფიქსირდა საუკეთესო პრაქტიკები, ეს იყო ბიზნეს უწყვეტობის, თითოეულ სტუდენტთა მოზიდვის მექანიზმები, საკუთრებაში არსებული ფიზიკური რეაბილიტაციის კლინიკა, სტომატოლოგიური კლინიკა, ანატომიური და სიმულაციური ანატომიის მოდერნიზებული ბლოკი, რომელიც შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს შესაბამისად, ეს ყველაფერი გაწერილი იყო წინა დასკვნაში, რაც არ დაუკარგავს უნივერსიტეტს და პირიქით, გააუმჯობესეს, ასევე, უნივერსიტეტის წარმატებაზე პირველ რიგში მეტყველებდა კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტ „გეომედს“ ჰყავდა წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებიც თავისი კვალიფიკაციის შესაბამისად იყვნენ დასაქმებულნი, უამრავმა სწავლა გააგრძელა შემდგომ საფეხურზე, რაც ვებ გვერდზეც იყო ატვირთული და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური აკეთებდა აღნიშნულ მონაცემთა ბაზას.

2020-2021 წლებში უნივერსიტეტში დაარსდა სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტი კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის, შეიქმნა სამეცნიერო ფონდი, რომელიც ხელს უწყობდა არა მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერებს, არამედ ყველას, რომ განვითარებულიყვნენ და შეექმნათ სამეცნიერო პროექტები. შეიქმნა სტომატოლოგიის ახალი ფანტომური ლაბორატორიები, მოდერნიზებული და საუკეთესოდ აღჭურვილი, დიდი მოთხოვნიდან გამომდინარე გაფართოვდა უნივერსიტეტის კლინიკა და გადავიდა 2-3-ჯერ დიდ ფართში.

რეკომენდაციების შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულება ცალსახად არ ეთანხმებოდა მესამე და მეოთხე სტანდარტის შეფასებას, რადგან მათ ჰქონდათ ამის უფლება, 2019 წელს უნივერსიტეტმა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე მოიპოვა 7 წლიანი აკრედიტაცია, საუკეთესოდ იყო პროგრამები და მათი განმახორციელებელი პერსონალი შეფასებული, ასევე ექსპერტების მიერ დადასტურდა ექსპერტების მაღალი კვალიფიკაცია და სტანდარტებთან სრული შესაბამისობა, რაც გამოიხატა ექსპერტებისა და საბჭოების მაღალ შეფასებაში, უნივერსიტეტმა გაიარა რამდენიმე საბჭო, ამის შემდეგ დაიმატეს განმახორციელებელი პერსონალი და საკმაოდ რეიტინგული კლინიკები, ციციშვილის კლინიკა და ა.შ. არ არსებობდა შემთხვევა, რომ კლინიკურ ნაწილში სტუდენტებს ქონოდათ შეფერხება ან ვერ მიეღოთ ხარისხიანი განათლება.

მისი თქმით ერთი ერთში მეორდებოდა 2.1 კომპონენტის მე-7, მე-8, მე-9 რეკომენდაციები, გაუგებარი იყო 2.2 კომპონენტის მე-16, მე-17, მე-8 რეკომენდაციები, 3.3 კომპონენტის 31-ე რეკომენდაცია, 4.1 კომპონენტის 37-ე რეკომენდაცია და 5.2 კომპონენტის 47-ე რეკომენდაცია, როდესაც თვითონ ექსპერტები დასკვნის 34-35 გვერდზე წერდნენ: „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა აკადემიური პერსონალისა და მენეჯმენტის შეფასებისთვის და, აგრეთვე, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ცოდნისა და უნარების შესასწავლად. გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციები სწავლებისა და კვლევის სხვადასხვა ასპექტებზე, ინფრასტრუქტურის

განვითარებაზე. სტუდენტებთან, თანამშრომლებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს და მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ მიიღო გარკვეული ზომები ამ რეკომენდაციების მიხედვით. მაგალითად, დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს სასწავლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა, ალერგოლოგიისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსების დამატება, ინგლისური ენისთვის საკონტაქტო საათების გაზრდა, ტრენინგების ჩატარება და ა.შ. დოკუმენტებით და დაწესებულებაში ვიზიტის შედეგად დადასტურებულია ფანტომური ლაბორატორიების, სარეაბილიტაციო კლინიკის, კაფეტერიის დაარსება და ა.შ.“, ანუ დაწესებულებას მისცეს უამრავი რეკომენდაცია, რომ ეს გაეკეთებინათ, თან დაწერეს, რომ ეს გაკეთდა. რაც შეეხებოდა ვიზიტის შემდგომ მტკიცებულებებს, ცალსახად 3.2 კომპონენტის 28-ე რეკომენდაცია, 5.1 კომპონენტის 43-ე რეკომენდაცია, 5.2 კომპონენტის 45-ე და 48-ე რეკომენდაციები და 7.3 კომპონენტის 72-ე, 73-ე რეკომენდაციები, არ იყო ვიზიტის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები, ვიზიტის დროს ყველა ეს ინფორმაცია იყო საიტზე, საუბარი არ იყო გარე აუდიტის დასკვნაზე, რომელიც მოთხოვნისამებრ დადეს, რაზეც თვითონ აუდიტსაც შეეძლო პასუხის გაცემა, მაგრამ აღნიშნულ რეკომენდაციებს დაწესებულება ვერ მიიღებდა, რადგან ეს იყო საიტზე არსებული ინფორმაცია, რაც დასტურდებოდა, დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ ნებისმიერი ინფორმაციის ამოღება და აღნიშნულის დადასტურება. დასკვნაში არსებული უამრავი რეკომენდაცია არ იყო მისაღები დაწესებულებისთვის.

მესამე სტანდარტთან, პროგრამულ ნაწილთან მიმართებით, იგი დაინტერესდა, რომ როდესაც ასეთი პატივსაცემი ექსპერტები ამბობდნენ, რომ მონაცემები აჩვენებდა სტუდენტების ჩარიცხვის შემცირებასა და უფრო მაღალ მობილობას, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნულის დასკვნაში წაკითხვის შემდეგ გაანალიზეს ინფორმაცია და ამოიღეს ბრძანებებისა და რეესტრის მიხედვით არსებული ინფორმაცია, რომელიც აღმოჩნდა არა სავალალო, არამედ სასაცილო, რადგან ეწერა, რომ 2019-2020 წლებში უნივერსიტეტში გადავიდა 9 სტუდენტი, ხოლო 2020-2021 წლებში - 31, რასაც დაწესებულება დაეთანხმა, თუმცა 2019-2020 წლებში 43-მა სტუდენტმა სხვა უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, როდესაც ეს რიცხვი იყო 13, მისთვის უცნობი იყო ეს ტექნიკური ხარვეზი იყო თუ გააზრებული ჩანაწერი, თუმცა ეს იყო შეცდომა, ასევე, ეწერა რომ 2019 წელს უნივერსიტეტში ჩაირიცხა 143 სტუდენტი, სინამდვილეში კი ჩაირიცხა 133 სტუდენტი, 2019-2020 წელში უნივერსიტეტში ჩაირიცხა 130, სინამდვილეში ჩაირიცხა - 147, 2020-2021 წლებში ჩაირიცხა 30 სტუდენტი, სინამდვილეში კი ჩაირიცხა 197 სტუდენტი. მისი თქმით ციფრი იყო უტყუარი და ვერაფერს შეცვლიდნენ, მისთვის გაუგებარი იყო თუ როგორ გაერჩია პირდაპირ ეწერა, რომ უნივერსიტეტში იყო კლება, სინამდვილეში კი იყო ძალიან კარგი მატება, რის გამოც მოთხოვეს სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდა, მოიპოვეს ყველაფერი და ყველაფერი მიმდინარეობდა კარგად. იგი დაინტერესდა, თუ 2019 წლის ბოლოს უნივერსიტეტი სრულ შესაბამისობაში იყო ბევრ სტანდარტთან და მეტწილად შესაბამისი იყო ერთ სტანდარტთან, როგორ გააუარესა მდგომარეობა კერძო სტრუქტურამ, რომელსაც აბსოლუტურად ყველა რესურსი გააჩნდა, 25 წელზე მეტხანს ახორციელებდა საგანმანათლებლო პროცესს, მიდიოდა წინ, ვითარდებოდა და ა.შ. დაუშვებდა თუ არა ასეთ ვარდნას, მითუმეტეს როდესაც გაუგებარია თუ საიდან მოიტანეს ზემოაღნიშნული ციფრები, თუკი დასკვნა კეთდებოდა ასეთ ციფრებსა და მონაცემებზე ასეთი დასკვნა, დასკვნა არ იყო.

მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის თანა-თავმჯდომარის აღშფოთებაზე დაწესებულებაც აღშფოთდა, ექსპერტის განცხადებით დიპლომირებული მედიკოსის კურიკულუმი ინტეგრირებული იყო და მოითხოვდა უფრო კომპლექსურ საგამოცდო ტესტებს, დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომაზე დამსწრე პირებს სთხოვა აეხსნათ თუ რა მეთოდი იყო შეფასების ან რას ნიშნავდა უფრო მეტად კომპლექსური საგამოცდო ტესტი, რადგან იგი არავის მოუთხოვია და მისთვის გაუგებარი იყო მოწონება/არ მოწონების საკითხი, დაინტერესდა თუ როგორ გამოიტანეს აღნიშნული დასკვნა. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მოითხოვეს კლინიკურ ლაბორატორიაში ვიზიტი, სადაც ექსპერტთა ჯგუფის

თანა-თავმჯდომარე ჩართული იყო ონლაინ, როდესაც მოითხოვეს OSCE-ს სადგურების შეფასება ბეჭდური ფორმით, ეს იყო სასწავლო პროცესის პირველი დღე ფაკულტეტზე, რადგან პანდემიის გამო გადაწეული იყო და როდესაც ამას მოყვა აღშფოთება ცხრილების შეუსაბამობასთან დაკავშირებთ, ეს იყო პირველი დღე, პროცესი იყო დალაგებული და ეს ყველაფერი გამოიწვია ტექნიკურმა ხარვეზმა, მოითხოვეს ინგლისურენოვანი ბეჭდური ვერსიები, რომლებიც ადგილზე იდო და დასკვნაში დაწერეს, რომ ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდებისთვის კლინიკური შემთხვევები ისწავლებოდა მხოლოდ ინგლისურ ენაზე, მისთვის გაუგებარია, თუ როგორ დაიწერა აღნიშნული დასკვნა, როდესაც არსებობდა ორი პროგრამა, ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი. ასევე დასკვნაში ეწერა „დარგობრივი მახასიათებლები არ არსებობს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული დანარჩენი პროგრამებისათვის“, მისი თქმით დარგობრივი მახასიათებლები არსებობდა მხოლოდ მედიცინის პროგრამებისთვის დანარჩენზე კი ხდებოდა შემუშავება და დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებდა.

მან განაცხადა, რომ 3.1 კომპონენტის არცერთი რეკომენდაცია არ შეესაბამებოდა სტანდარტს. მისი თქმით დასკვნაში ეწერა, რომ კარგი პროგრამა იყო კარგი შინაარსით, თუმცა შეფასება იყო ძალიან დაბალი, რასაც დაწესებულება არ დაეთანხმა. მისი თქმით, უნივერსიტეტ „გეომედის“ პერსონალი ყოველთვის მაღალი შეფასებით სარგებლობდა ყველა აკრედიტაცია/ავტორიზაციის პროცესში და ასევე, დაწესებულება არ დაეთანხმა პერსონალის დაბალ შეფასებას. რაც შეეხებოდა ხარისხის შეფასებას, რაც უშუალოდ მას ეხებოდა, მათ ჰქონდათ ხარისხის შეფასების რამდენიმე რეკომენდაცია, როდესაც მიიღეს დასკვნის პროექტი ხარისხის შეფასებაში მითითებული იყო, რომ კანონის შესაბამისად ფაკულტეტებზე უნდა დანერგილიყო ხარისხის სამსახურები, დაწესებულებამ უპასუხა, რომ ეს არ იყო კანონის შესაბამისი და კანონი კერძო სტრუქტურას ათავისუფლებდა მსგავსი მოთხოვნებისგან, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიწოდებული რეკომენდაციები და კიდევ აღნიშნული იყო, რომ უნივერსიტეტი არ ითვალისწინებდა რეკომენდაციებს. მას შეეძლო ეთქვა, რომ როდესაც გაიარეს ავტორიზაციის მონიტორინგი რა რეკომენდაციებიც იყო გაცემული, ყველა მათგანი იყო გაზიარებული და შესრულებული, დარჩა მხოლოდ 5 რეკომენდაცია, რომლებიც დაწესებულებამ ჩათვალა, რომ ისედაც ახორციელებდნენ, ამიტომ უნივერსიტეტი ყოველთვის ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს, მითუმეტეს, როდესაც საუბარი იყო გარე ექსპერტებზე და ითვალისწინებდა გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს, მაგრამ თუ რეკომენდაციები გაბევრებული იყო და სიტყვების გადანაცვლებით ერთიდაიგივე შინაარსი იყო ბევრ რეკომენდაციაში, ამას უნივერსიტეტი ვერ მიიღებდა. რაც შეეხებოდა ხარისხს, 2.1 კომპონენტის მე-7 რეკომენდაციაში ეწერა: „პრო-რექტორები და ფაკულტეტის დეკანები სრული გრაფიკით უნდა ჩაერთონ უნივერსიტეტის საქმიანობაში და ჰქონდეთ უფლებამოსილება მენეჯმენტის ფუნქციების შესასრულებლად“, მე-8 რეკომენდაციაში -„ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ აფილირებული პერსონალი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მაღალი დონის ვალდებულება და ჩართულობა, ასევე უწყვეტობა სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში“, მე-9 რეკომენდაციაში კი გაერთიანებული იყო ზემოაღნიშნული - „პრორექტორები, ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები დასაქმებული უნდა იყვნენ მხოლოდ ამ უნივერსიტეტში“, მისთვის გასაგები იყო ექსპერტთა ჯგუფის თანა-თავმჯდომარის აღშფოთება, რომელიც მისი მოსაზრებით ევროპულ სტანდარტზე იყო დაფუძნებული. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ყველანი იყვნენ კოლეგები და მუშაობდნენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება წაეკითხა ლექციები, ასეთი მოთხოვნა მას არასდროს გაუგია. 2.2 კომპონენტის მე-15 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტიდან ამოიღო რეკომენდაცია, რომ კანონის შესაბამისად, რადგან ეს იყო შეცდომით დაწერილი და შესაძლებელია ექსპერტთა ჯგუფი არ იყო კანონს ბოლომდე გაცნობილი და დაწერეს: „უნდა მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების

შემუშავება საგანმანათლებლო ერთეულებში“, იქამდე, საჭირო იყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება ფაკულტეტის დონეზე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუკი ამოიღეს და მიხვდნენ, რომ კანონში ასე არ იყო, მთავარი იყო უნივერსიტეტში ფუნქციურად ყველაფერი ხორციელდებოდა, არაჩვეულებრივად მიდიოდა სასწავლო პროცესი, ეს ყველაფერი იყო კარგად დაგეგმილი, რაზეც დეკანებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს შეეძლოთ საუბარი, ეს ყველაფერი მონიტორინგდებოდა და იყო კონტროლზე აყვანილი, შესაბამისად არ შეიძლებოდა გაბევრებული რეკომენდაციების ხარჯზე მიეღოთ ინსტიტუციის განვითარება, მისთვის გასაგები იყო ისეთი რეკომენდაციის მიღება რომელიც ავითარებდა უნივერსიტეტს, მაგ., რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობდნენ გაცვლით პროგრამებზე მაინც მისაღები იყო მათთვის აღნიშნული რეკომენდაცია, მაგრამ ყველაფერს ხაზს ვერ გადაუსვამდნენ, ამდენი ადამიანის ნაშრომსა და ნამუშევარს, უნივერსიტეტის წინსვლასა და წარმატებას.

რექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში, მარიამ ველიჯანაშვილმა განაცხადა, რომ მას სურდა სხდომაზე გამოთქმული რეკომენდაციებისთვის ეპასუხა. მან გაიხსენა ექსპერტთა ჯგუფის თანა-თავმჯდომარის მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ იგი შეშფოთებული იყო სამედიცინო განათლების დონითა და პერსონალის ჩართულობით, საუბარი იყო იმაზე, რომ პერსონალის ნაწილი იყო სრული დატვირთვით, ნაწილი ნაწილობრივ, და საათობრივი დატვირთვა ზოგ შემთხვევაში იყო ძალიან დიდი ან ზოგ შემთხვევაში გაუაზრებლად დაგეგმილი, მან განმარტა, რომ ყოველი სემესტრის დაწყების წინ საათობრივი დატვირთვა იგეგმებოდა სემესტრის დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე, გეგმავდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენი ჯგუფი ყავდათ შემდეგ სემესტრში, რა საგნები უნდა ისწავლებოდეს, რომელ საგანში რა სასწავლო მეთოდოლოგია იყო გამოყოფილი, შესაბამისად რამდენი სტუდენტი უნდა ყოფილიყო თითოეულ ჯგუფში და რამდენი პედაგოგი ესაჭიროებოდათ თითოეული ჯგუფისთვის, ანუ საათობრივი დატვირთვა და სტუდენტ-პედაგოგის თანაფარდობის დაცვა არა მხოლოდ ჯგუფებზე, არამედ სასწავლო მეთოდოლოგიაზეც იყო მორგებული, რათა სწავლების ხარისხი მაქსიმალურად ყოფილიყო მიღწეული. პერსონალის სრულ საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ უნივერისტეტის აფილირების თანახმად, სრული დატვირთვა უნდა ჰქონოდათ მხოლოდ აღნიშნულ უნივერსიტეტში, მოწვეული პერსონალი კი, რომლებიც სხვა უნივერსიტეტებშიც ასწავლიდნენ, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში დაწესებულება ითვალისწინებდა, როგორც ადგილობრივ დატვირთვას, ისე იმ დატვირთვასაც, რასაც პროფესორი სხვაგან ახორციელებდა ისე, რომ ამს არ გადაეჭარბებინა კვირეული ლიმიტისთვის (40 საათისთვის), რაც ყოველთვის, ყველ სემესტრისთვის, თითოეული ჯგუფისთვის ასწავლო მეთოდოლოგიისთვის ხდებოდა ამის გათვალისწინება.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა, დააზუსტა ვარაუდობდა თუ არა დაწესებულება 40 საათის წაკითხვას, ყავთ თუ არა მოწვეული პერსონალი, რომლებიც კვირის განმავლობაში 40 საათს კითხულობდნენ. სთხოვა ჩაეშალაა ზემოაღნიშნული 40 საათი.

რექტორის მოადგილემ უარყო საბჭოს წევრის მოსაზრება, მან განაცხადა, რომ კანონმდებლობით დადგენილი ზედა ზღვარი იყო 40 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ შრომის კოდექსით მაქსიმალური დატვირთვა შეიძლებოდა ყოფილიყო 40 საათი.

რექტორის მოადგილემ განმარტა, რომ ვინაიდან კვირაში 5 სამუშაო დღე იყო, პერსონალს თითოეულ დღეს 8 საათზე მეტი არ უნდა ჰქონოდა, ანუ კვირაში 40 საათზე მეტი არ შეიძლებოდა.

საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ, განაცხადა, რომ საბჭოს წევრის მიერ დასმული კითხვა არასწორად იყო გაგებული.

საბჭოს წევრი, მორის შალიკაშვილი, დაინტერესდა, თუ რამდენი საათი ჰქონდათ კვირეული დატვირთვა საშუალოდ.

რექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ საშუალოდ ზოგს შეიძლება ჰქონოდა 20 საათი, თუმცა 40-ს არ სცილდებოდა.

საბჭოს წევრი, მორის შალიკაშვილი, დააზუსტა იგულისხმებოდა, თუ არა კვირაში 40 საათი ლექციის წაკითხვა.
რექტორის მოადგილემ განმარტა, რომ იგულისხმებოდა ლექცია, სემინარი კონსულტაციები და სხვა, რაც შედიოდა სასწავლო პროცესში და არ მოიაზრებოდა მხოლოდ ლექცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ექსპერტების დასკვნის მიხედვით მათი პერსონალი მხოლოდ 22%-ით იყო დატვირთული, თავის ძირითად დატვირთვასთან, აქედან გამომდინარე ისინი არ იყვნენ სრულად დატვირთულები და დაწესებულებას ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ სტუდენტების კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში 2 სასწავლო წლის მანძილზე არ დასჭირდებოდათ პერსონალის დამატება, აღნიშნული პერსონალი დაიტვირთებოდა უფრო მეტად, ვიდრე 22%-ით.
რექტორის მოადგილის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის თანა-თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ ზოგიერთი აკადემიური პერსონალი ჩართული იყო ადმინისტრაციულ ნაწილში, ამ შემთხვევაშიც, ზოგადად, საათობრივი დატვირთვა, მომუშავე პერსონალის განსაზღვრა ხდებოდა იმ მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც შემუშავებული და დამტკიცებული იყო უნივერსიტეტის მიერ, რათა მიღწეული ყოფილიყო სწავლების მაღალი ხარისხი და ადმინისტრაციული კუთხითაც არაფერი დაკლებოდა. მან განაცხადა, რომ ხარისხის სამსახურის მიერ მუდმივად განხორციელებული შეფასების მეთოდოლოგია უზრუნველყოფდა მომუშავე პერსონალის ადმინისტრაციული მუშაობისა და სასწავლო მუშაობის მუდმივ შეფასებას, თუ არ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი, სრულყოფილი ან ა.შ. მაშინვე ხდებოდა მიმართვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გამოსწორება. ეს იყო დინამიური პროცესი, რომელსაც მუდმივად აკონტროლებდა ადამიანური რესურსების სამსახური და ის სტრუქტურული ერთეული, რომელთანაც დაკავშირებული იყო აღნიშნული პერსონალი.
ცხრილებთან, სასწავლო პროცესთან და ექსპერტთა ჯგუფის მეცადინეობაზე ვერ დასწრებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აღნიშნული დაკავშირებული იყო იმაზე, რომ, როდესაც ექსპერტები მივიდნენ 29 მარტი იყო პირველი სასწავლო დღე, 29 მარტს დაიწყეს სასწავლო პროცესი მედიცინის ფაკულტეტზე, სხვა ფაკულტეტებზე კი ერთი კვირის დაწყებული ჰქონდათ. ცხრილებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ცხრილები მაშინვე იქნა მიწოდებული და ასევე, დაბეჭდილი და გამოკრული იყო უნივერსიტეტის პირველ სართულზე, სასწავლო პროცესის რეგულაციების თანახმად ცხრილის შემუშავება და მიწოდება უნდა მომხდარიყო სწავლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე, ხოლო კალენდრის მიწოდების ვადები კიდევ უფრო ადრე, როგორც პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან, რადგან მათ დაგეგმონ და მოემზადონ სასწავლო პროცესისთვის. რაც შეეხებოდა იმას, რომ ვერ მოხერხდა მეცადინეობებზე დასწრება ეს იყო ტექნიკური შეცდომა, რადგან ინტერვიუები დასრულდა ისეთ დროს, როდესაც უმრავლესი მეცადინეობები უკვე დასრულებული იყო, დაახლოებით დღის ოთხ-ხუთ საათზე, ერთადერთი, სადაც უნდა ყოფილიყო კურაციები ჩატარებული, ეს იყო „პინეოსა“ და გერმანულ ჰოსპიტალში, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა, მაგრამ დაემთხვა ისე, რომ მეცადინეობები იმ დღეს დილით იყო გადატანილი, რაზეც ინფორმირებული იყო დეკანატიც და სტუდენტებიც, შესაბამისად აღნიშნული მეცადინეობები არ გაცდენილა, თუ ექსპერტებს ექნებოდათ სურვილი, შესაძლებელი იყო ნებისმიერ დროს ონლაინ ჩართვა ან პირისპირ დასწრება. დაწესებულებას შეეძლო ეჩვენებინა, რომ პროცესი იყო გამართული, 100%-ით იდეალური არავინ და არაფერი არ იყო, მაგრამ ხდებოდა მონიტორინგი დეკანატის მიერ და გამოსწორება. ცხრილის დამტკიცების შესახებ მან განმარტა, რომ ცხრილი დათარიღებული იყო 29 მარტით, რადგან იმ დღეს ამოიბეჭდა, მაგრამ დამტკიცებული იყო ერთი კვირით ადრე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ, როგორც მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი და რექტორის მოადგილე, მხოლოდ თავის ნაწილს უპასუხებდა. მედიცინის პროგრამაზე სწავლების ორგანიზაციასთან და ცხრილზე პრობლემებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხს უკვე გასცა პასუხი. რაც შეეხებოდა პერსონალის პრაქტიკულ ტრენინგებს აღნიშნა, რომ ეს ხდებოდა

მუდმივად, გაწერილი ჰქონდათ პერსონალის ტრენინგის გეგმა, რაც იწერებოდა იმაზე დაყრდნობით, თუ რა სასწავლო მეთოდოლოგიას იყენებდნენ, რა დატვირთვით მოუწევდათ ამათუიმ მეთოდიკის სწავლება და თუ ვინმე არ იყო დატრენინგებული, სწავლის დაწყებამდე დიდიხნით ადრე უნდა მომხდარიყო მისი მომზადება, რასაც უზრუნველყოფდა სიცოცხლის ბოლომდე სწავლების სამსახური დეკანატთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, რადგან მათ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რაში სჭირდებოდათ პერსონალის დატრენინგება მომავალი სემესტრისთვის. სიმულაციის კლინიკასა და მედიცინის სწავლების ხარისხთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სიმულაციის კლინიკაში, რადგან ვიზიტი განხორციელდა იმ დღეს, როდესაც არ იყო მეცადინეობა, ამიტომ არ იყო ჯგუფები მისული, თუმცა სიმულაციურ კლინიკაში კლინიკური უნარების სწავლება ხორციელდებოდა წინასწარ დაგეგმილი ცხრილის მიხედვით. ინგლისურ ენაზე დოკუმენტაციის მიწოდებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ რაც მოითხოვეს გადაგზავნილი იქნა ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო დადასტურებულიყო მეილითა და ვიზიტის დროს მიწოდებული ინფორმაციით. მისთვის გაუგებარი იყო რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე კლინიკური უნარების ვერ დასახელებაში. მობილობასა და უნივერსიტეტში გადამსვლელი სტუდენტების არა მზაობის შესახებ მან განაცხადა, რომ მობილობის წესი აღწერილი იყო სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, როდესაც მობილობის ვადა იყო გამოცხადებული და ნებისმიერი სტუდენტი მიმართავდა მობილობის სურვილით, მას მოჰქონდა აკადემიური ბარათი, უნდა ყოფილიყო ნებისმიერი სხვა უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტი, აკადემიური ბარათის ანალიზს ახორციელებდა პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის შესაბამისადაც წინასწარ ხდებოდა სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდება თუ რომელ სემესტრში შეეძლო სწავლის გაგრძელება მიტანილი კრედიტების შესაბამისად, რა საგნები უღიარდება და რომელ სემესტრში უნდა დაესვათ, რომ მას შეძლებოდა თავისი დონიდან გამომდინარე სწავლის გაგრძელება, რათა შემდეგში არ შექმნოდა პრობლემა, რასაც უზრუნველყოფდა წინაპირობების მატრიცა, რომელიც მედიცინის პროგრამაში ისე იყო გათვლილი, რომ თუ სტუდენტს არ უღიარდა საგნები, რომლებიც წინაპირობა იყო კონკრეტული მოდულის, სემესტრის, რომელიც მას სურდა ვერ გამოვიდოდა სწავლის გაგრძელება, რადგან მას არ უღიარდა წინაპირობის საგნები, შესაბამისად ის მომენტი, რომ სტუდენტს გაუჭირდებოდა გაგრძელება და მისი სასწავლო მზაობა არ იყო გათვლილი, დაწესებულება არ დაეთანხმა. პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმებთან, ბიუჯეტის სიმცირესა და შეზღუდულ ინგლისურად მოსაუბრე პერსონალის შესახებ მან განაცხადა, რომ პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმები მისი მოსაზრებით უმეტესად ევროპაში იქნებოდა დამკვიდრებული, თუმცა დაწესებულება ახორციელებდა პერსონალის მუდმივ ტრენინგს, მათი პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, თუ რისი სწავლება უწევდათ და რა მეთოდოლოგიით, ამას გეგმავდნენ და ასევე, პერსონალს თხოვდნენ, რადგან საფაკულტეტო საბჭოებს საკმაოდ აქტიურად ატარებდნენ, ამასთან ერთად მხოლოდ ჩვეულებრივ საბჭოებს კი არა პროგრამის მონიტორინგს ატარებდნენ ძალიან აქტიურად, რადგან მედიცინის პროგრამა იყო ინტეგრირებული კურიკულუმი და მაინც ახალი იყო ქართული საზოგადოებისთვის, დაახლოებით თვეში ერთხელ ხდებოდა ინტეგრირებულ კურიკულუმში ჩართულ პედაგოგებთან შეხვედრა და მიმდინარე პროცესების განხილვა, რა მეთოდებს იყენებდნენ, სად იყო პრობლემა, სად სჭირდებოდათ დახმარება და ა.შ. ამის მიხედვით იგეგმებოდა მათი პირადი ინდივიდუალური გეგმების შედგენა, იმის გათვალისწინებით, რასაც პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის სამსახური თვლიდნენ საჭიროდ. ინგლისურ ენასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ინგლისურ MD პროგრამაში ჩართული პერსონალი სრულად ფლობდა ინგლისურ ენას, როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიურ პერსონალი, მათი სამსახურში აყვანა არ ხორციელდებოდა, თუ ისინი არ ჩააბარებდნენ ინგლისური ენის B2 დონის გამოცდას ან არ წარმოადგენდნენ შესაბამის სერთიფიკატს.

ვინაიდან რეგულარულად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და დაწესებულების წარმომადგენლები ხედავდნენ, რომ რომელიმე სასწავლო მეთოდოლოგიაში ან

რომელიმე კურიკულუმში სჭირდებოდათ პერსონალის დამატება მაშინვე ხდებოდა ამის მოგვარება და რადგან ყავდათ კონტრაქტორები, პერსონალის მოძიება არ იყო პრობლემა.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაედასტურებინათ მოპასუხე მხარის უფლებამოსილება.
რექტორის მოადგილემ ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში, თამაზ ხვიჩიამ განაცხადა, რომ რექტორის მოადგილე იმყოფებოდა სხდომაზე.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ რექტორი არ იმყოფებოდა საქართველოში, როდესაც ცენტრმა დაურეკა დაწესებულების წარმომადგენლებს საავტორიზაციო განაცხადის ჩანიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა არ იცოდნენ მინდობილობის საჭიროება, ამიტომ სხდომის განმავლობაში აგვარებდნენ ამ საკითხს და როგორც კი მზად იქნებოდა მაშინვე გადააგზავნიდნენ ცენტრში.
საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების თვითშეფასებაში, რომელიც დაწესებულების მხრიდან ხელმოწერითა და ბეჭდით დასტურდებოდა, დასახელებული იყო, როგორც რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში, თამაზ ხვიჩია, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მანანა ცერცვაძე, შესაბამისად, მისი მოსაზრებით, საბჭოს შეეძლო მათი უფლებამოსილება თვითშეფასების დოკუმენტის საფუძველზეც ეღიარებინა, თუმცა მიუხედავად ამისა მინდობილობა მაინც უნდა წარედგინათ ცენტრში.
რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ზურაბ ცეცხლაძემ, გაიხსენა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ სამეცნიერო მიმართულებით კვლევაში ჩართული იყო 5 ადამიანი, რაც დაწესებულებისთვის გაუგებარი იყო, რადგან მათ გადასცეს დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ 15 ადამიანი მუშაობდა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, თითოეულ პროექტში ჩართული იყო 1-3 ადამიანი, რაც არ იყო გასაკვირი, რადგან საუბარი იყო კვლევით პროექტზე, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო ინდივიდუალურადაც და 3 ადამიანიც ჩართულიყო თითოეულ კვლევით პროექტში, შესაძლებელია ერთი ყოფილიყო ხელმძღვანელი და ერთი ლაბორანტი.
საბჭოს თავმჯდომარე დააზუსტა გადაეცა თუ არა დაწესებულებას დასკვნის პროექტი, რადგან იქ არ ეწერა და ისეთი რამ თქვეს თუ რატომ გახდა განსახილველი საკითხი.
რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს. საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს გადასცა უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებების სია. დატვირთვის სქემასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ შესაძლებელია მომავალში ჩართულიყო და ამასთანავე კვლევითი საქმიანობაც ჩართულიყო სქემაში. 6.3 კომპონენტში არსებულ რეკომენდაციასთან (თითოეულ აკადემიკოსზე უნდა განისაზღვროს გამოქვეყნებული სამუშაოს მინიმალური წლიური ზღვარი) დაკავშირებით განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო განსაზღვრულიყო, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების ხედვით წლიური მინიმალური ზღვრის დაწესებამ აკადემიური პერსონალისთვის შესაძლებელი იყო მის აკადემიურ სამეცნიერო ხარისხზე.
აკადემიური პერსონალის რაოდენობის არ გაზრდასთან დაკავშირებით ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა, თამარ სოზიაშვილმა განაცხადა რომ 2020 წელს პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და 2 ასისტენტი, ასევე 2020 წელს არჩეულ იქნა სამეცნიერო თანამდებობებზე 8 პერსონალი, 4 მთავარი მეცნიერი, 4 უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრი, გოდერძი ბუჩაშვილი, დაინტერესდა თუ რამდენ რეკომენდაციას ეთანხმებოდა დაწესებულება.
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ საერთო ჯამში ეს იყო მძიმე დასკვნა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება უფრო ლოიალურია ვიდრე დასკვნის შინაარსი, მითუმეტეს იმ პრობლემების ფონზე რამაც სხდომაზე გაიჟღერა. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ

უზრუნველყოფდა დაწესებულება პროგრამის სტაბილურად განხორციელებას, სტუდენტთა მომსახურეობას, აღნიშნული მომსახურეობის უწყვეტობას, თუკი ჰქონდათ შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული პერსონალი არ იყო დაკავებული მხოლოდ აღნიშნული დაწესებულების ფარგლებში, ხშირ შემთხვევაში არ იყო აფილირებული და შესაბამისად დაწესებულების მხრიდან დაინტერესდა თუ რითი ახსნიდა იმ შემთხვევას, რომელიც დასკვნაში იყო აღწერილი, რომ 2020 წლის განცხადებაზე სტუდენტს არ მიუღია პასუხი, რადგან არ მუშაობდა კანცელარია და აქედან გამომდინარე განცხადება დარჩა უპასუხოდ, ზოგადად არსებობდა ადმინისტრაციული წარმოების ვადები, როდესაც უნდა გასცემოდა პასუხი და ა.შ. ასევე, მისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ არ შეიძლებოდა ცხრილები ყოფილიყო საჯაროდ ხელმისაწვდომი და რატომ სჭირდებოდა ექსპერტს დამატებით მოძიება. ამასთანავე, მძიმე იყო შენიშვნა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, მაგრამ შესაძლებელი იყო დაწესებულებას ამ მიმართულებით კიდევ გაეკეთებინა კომენტარი. ასევე, დაინტერესდა თუ რამდენ სტუდენტს რიცხავდნენ აკადემიური დავალიანების გამო. დაწესებულების მისამართით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ მიეც საშუალება ენახა სასწავლო პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ჰქონდა რაღაც ახსნა აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სთხოვა ესაუბრათ სასწავლო პროცესის უწყვეტობის შესახებ, თუ რატომ არ მიეცა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება სასწავლო პროცესის შემოწმებისა.

საბჭოს მოწვეული წევრმა, თამარა ვალიშვილმა, განაცხადა, რომ 3.3 კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ერთ-ერთი შენიშვნა იყო პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების შეფასება და შესაბამისი კომპონენტების არა მკაფიო განსაზღვრა პროგრამაში, შემდეგ აღწერილობით ნაწილში საკმაოდ ვრცლად იყო გაწერილი თუ რა მდგომარეობა დახვდა ექსპერტთა ჯგუფს სიმულაციის ცენტრში, დასკვნა კი გამოტანილი იყო, რომ პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარები არ შეესაბამებოდა „ბენჩმარკს“, ანუ დარგობრივ სტანდარტს, ექსპერტებისგან დაინტერესდა, თუ რა დარღვევები იყო ამ კუთხით და სიტუაცია დახვდათ, რამდენად ირღვეოდა სტანდარტი სიმულაციური სწავლების, კლინიკური უნარების შეფასების კუთხით.

საბჭოს წევრი, თამარ ვეფხვაძე, დაინტერესდა თუ როგორ იშლებოდა აკადემიური პერსონალის დატვირთვა დაწესებულებაში, როგორც პროფესორის, ასევე ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტისა და ა.შ. რა დატვირთვა იგულისხმებოდა დატვირთვაში.

საბჭოს წევრი, მორის შალიკაშვილი, დაინტერესდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის შესახებ, თუ რამდენ საათს კითხულობდა მოწვეული და რამდენს აკადემიური, ასევე დაინტერესდა სხვაგანაც იყვნენ თუ არა დატვირთული პრორექტორები და დეკანები.

საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ, განაცხადა, რომ კრიტიკულმა რეკომენდაციებმა გაიჟღერა ძალიან ბევრ სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა პირველი სტანდარტისა, თუმცა, როგორც ცნობილი იყო, ყველა ორგანიზაცია მისი განვითარების გეგმის გარშემო ვითარდებოდა. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ არ იყო დასკვნაში საუბარი ავტორიზაციიდან ავტორიზაციამდე დაწესებულების განვითარებაზე, დაწესებულებას მიმართა კითხვით ჩამოეყალიბებინათ 3-4 მიღწევა, რომელიც ავტორიზაციიდან ავტორიზაციამდე მოხდა, მან განაცხადა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის 80% იყო სტრატეგიული ან სამოქმედო გეგმის შეფასება, რომელიც იყო ერთ-ერთი ეტაპი, იგი დაინტერესდა თუ რა ეტაპებს გადიოდა სტრატეგიული განვითარების გეგმა დაწესებულებაში, რადგან იგი უნდა მორგებოდა ყველა იმ რეკომენდაციასა და სტანდარტს, რომელიც გაცემული იყო.

საბჭოს მოწვეული წევრი, ლელა მასხულია, დაინტერესდა თუ რომელი მიმართულება იყო პრიორიტეტული უნივერსიტეტისთვის და თუ ჰყავდათ შესაბამისი დონის მკვლევარები.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ, განაცხადა, რომ წინა დასკვნების რეკომენდაციების/რჩევების ნაწილი ისევ აღმოჩნდა აღნიშნულ დასკვნაში, ზოგ შემთხვევაში უფრო მწვავე ფორმულირებითაც, მაგ., უნივერსიტეტის სტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებით,

ადმინისტრაციულ პერსონალთან, ინტერნაციონალიზაციასთან და საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხსნიდა დაწესებულება ამის მიზეზებს.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყურადღებით უსმენდა ექსპერტთა ჯგუფს და მადლობა გადაუხადა მათ გაწეული შრომისათვის, მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ ექსპერტთა ჯგუფის დღევანდელი დასკვნა უფრო მწვავე იყო, ვიდრე ეს გადმოცემული იყო დასკვნაში, დაინტერესა ეს მისი სუბიექტური აზრი იყო, თუ ექსპერტთა ჯგუფიც იზიარებდა აღნიშნულ მოსაზრებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს პასუხი გაეცათ საბჭოს წევრების შეკითხვებისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პანდელის იპსილანდისმა განაცხადა, რომ შეიძლებოდა ყოფილიყო ორი ძირითადი მიზეზი: (1) საბჭოს თავმჯდომარე სწორი იყო, მაგრამ თავდაპირველად შეიძლებოდა ეთქვათ, რომ ხშირად ვერ აკეთებდნენ იმას, რაც უნდა გაეკეთებინათ, შესაბამისად საბოლოო დასკვნაში ვერ აისახა ყველაფერი ისე, როგორც საჭირო იყო; (2) დასკვნა არ იყო პერსონალური დოკუმენტი, ეს იყო შეთანხმებაზე დაფუძნებული საბუთი და როდესაც ადამიანი საუბრობდა პერსონალურად შეეძლო უფრო მეტის თქმა, პიროვნულობის უფრო მაღალი ხარისხით, შესაბამისად შეიძლებოდა უფრო ნეგატიურად/კრიტიკულად შეეფასებინა აღნიშნული პროცესები. მან აღნიშნა, რომ არ აპირებდა ყველა კომენტარზე პასუხის გაცემას, რადგან ამისთვის არ იყო დრო, რასაც აცნობიერებდა, თუმცა სურდა ეთქვა ზოგადი დაკვირვება, რომ როდესაც დაწესებულება საუბრობდა მცდარ რიცხვებზე, მათ უნდა წარმოედგინათ არგუმენტირებულ პოზიციაში, როგორც ფაქტობრივი შეცდომა, ისინი ამ შეცდომას ძალიან მარტივად გაასწორებდნენ, რიცხვები კვლევასთან დაკავშირებით დადგინდა ადამიანების/პერსონალის დათვლით და აღნიშნული მონაცემები აღებული იყო თვითშეფასებიდან და წარდგენილი დოკუმენტაციიდან, ამიტომ მისი მოსაზრებით არ უნდა ყოფილიყო სხდომაზე ამის განხილვა, რადგან ამისთვის არსებობდა არგუმენტირებული პოზიცია და იქ უნდა ყოფილიყო აღნიშნული საკითხები წარდგენილი.
ექსპერტთა ჯგუფის თანა-თავმჯდომარემ, ივანა ობორნამ, განაცხადა, რომ სურდა მოკლედ გადმოეცა თავისი მოსაზრება, რადგან ყველას დრო ღირებული იყო. სამედიცინო განათლებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ თემა ეხებოდა ყველაზე მნიშვნელოვანს - ხარისხიან განათლებას, მისთვის სამწუხარო იყო, რომ არცერთი რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული, რიცხვები კი ექსპერტთა ჯგუფს არ მოუტანია ჰაერიდან, ისინი ამოიღეს თვითშეფასებიდან და უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი ინფორმაციიდან, რაც ასახული იყო, რადგან ცენტრის გავლით იღებდნენ მეილზე, ექსპერტთა ჯგუფმა ბევრი იმუშავა რათა აღნიშნული დასკვნა დაეწერათ. მისი მოსაზრებით მართალი იყო, რომ იყვნენ უფრო მკაცრები, მაგრამ ჯობდა ხანდახან ეთქვათ ყველაფერი რასაც ფიქრობდნენ და რაც იყო პრობლემური, რადგან საბჭო იყო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, ექსპერტმა მათ უსურვა წარმატება საკმაოდ რთული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს პასუხი გაეცათ საბჭოს წევრების შეკითხვებისთვის.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ იყო არა 84 არამედ 80 რეკომენდაცია, რადგან 4 რეკომენდაცია უკან წაიღო ექსპერტთა ჯგუფმა არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ, 80 რეკომენდაციიდან მეორდებოდა 16-17, მას არ ჰქონდა დათვლის დრო, დარჩა 62-63 რეკომენდაცია, საიდანაც დაწესებულება დაახლოებით 20-25%-ის გათვალისწინებას აპირებდა, რაც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციას, სამეცნიერო კვლევების გაღრმავებას, რაზეც ამ მიმართულებით ისედაც მუშაობდნენ, მათ კავშირები ჰქონდათ წამყვან უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ორგანიზაციებთან და ა.შ. ამ კუთხით დაწესებულება მუშაობდა და მომავალში უნდა ჰქონოდა შთამბეჭდავი მიღწევები, ამიტომ ნაწილ რეკომენდაციებს გაიზიარებდნენ, რასაც ყოველთვის აკეთებდნენ და მოსაზრება, რომ უმეტეს რეკომენდაციებს არ ითვალისწინებდნენ ხოლმე მცდარი იყო, პირიქით დიდ ნაწილს

ითვალისწინებდნენ, რაც უნივერსიტეტის განვითარებას შეუწყობდა ხელს, რეკომენდაციას, რომელიც არაფრის მიმცემი იყო და მხოლოდ რეკომენდაციისთვის იყო დაწერილი იმას გააერთიანებდნენ და რაღაცას მაინც გაითვალისწინებდნენ.
ადმინისტრაციულ პერსონალთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ იყო მხოლოდ ერთი გამონაკლისი - თორნიკე ხოშტარია, რომელიც რამდენიმე თვის წინ მიიწვიეს და აიყვანეს ფაკულტეტის დეკანად, მას ჰქონდა გარკვეული ვალდებულებები წინა უნივერსიტეტში და განსახილველი დაწესებულებაც პასუხისმგებლობით მოეკიდა აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას და ზაფხულში დაგეგმილი ჰქონდათ კონკურსი, სადაც გახდებოდა აფილირებული პერსონალი და ამოიწურებოდა აღნიშნული საკითხი.
მან განმარტა, რომ კანცელარია არაფერ შუაში იყო სტუდენტისთვის პასუხის გაცემასთან, შეიხლებოდა მომხდარიყო რაღაც და ვერ ეპასუხათ დროულად, მან შეისწავლა აღნიშნული საკითხი, დასკვნის მიღებისთანავე, გაესაუბრა კურსდამთავრებულსაც, თუ რატომ მოხდა ასე, რადგან მათთან მაღალი იყო სტუდენტისა და პედაგოგების კმაყოფილების დონე და მოხდა ისე, რომ კურსდამთავრებულმა ვერ მიიღო პასუხი რეზიდენტურასთან დაკავშირებით და გეგმავდნენ უფრო დიდი ყურადღებით ემუშავათ ამ მიმართულებით, თუმცა კანცელარია არაფერ შუაში იყო და ის გამართულად მუშაობდა.
ცხრილების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ცხრილები არ იყო ატვირთული ვებ გვერდზე, თუმცა ჰქონდათ საკმაოდ კომფორტული ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემა, რომელიც 5 წლის განმავლობაში იყო დანერგილი უნივერსიტეტში, ამიტომ სტუდენტსა და ადმინისტრაციას, ყველას ჰქონდა წვდომა თავისი გვერდიდან, სტუდენტს ავტომატურად, ერთი კვირით ადრე მისდიოდა ცხრილი, მან ზუსტად იცოდა სად უნდა მისულიყო, რა უნდა ექნა და ა.შ. ასევე, დეკანებსა და პროფესორებს, ამ პროცესის გაკონტროლება ხდებოდა ძალიან მკაცრად. ასევე გამოიკვრებოდა ძალიან გამოსაჩენ ადგილას, უნივერსიტეტის პირველ სართულზე, მისთვის მიუღებელი იყო რეკომენდაცია, რომ კლინიკებში გამოკრულიყო ცხრილი, სადაც სტუდენტები დადიოდნენ კურაციებზე, ცხრილი ჰქონდა პედაგოგს, რომელიც აწარმოებდა კურაციულ კურსს და ჰქონდა სტუდენტს, კლინიკა კი კერძო საკუთრება იყო და დაწესებულება ვერ მოთხოვდა მისი ცხრილების გამოკვრას, ცხრილები ასევე ხელმისაწვდომი იყო ექსპერტებისთვის და თუ რატომ მოხდა გაუგებრობა მისთვის უცნობი იყო.
ფინანსური დავალიანების გამო გარიცხული სტუდენტების შესახებ განაცხადა, რომ არცერთი სტუდენტი გაურიცხავთ აღნიშნული მიზეზით, რადგან მათ ჰქონდათ ძალიან მოქნილი სისტემა, რომელიც ყველანაირად ხელს უწყობდა სტუდენტებს, რომ მათთვის მოსახერხებელ პერიოდსა და დროში გადაეხადათ სწავლის გადასახადი.
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ, განაცხადა, რომ მისი კითხვა ეხებოდა აკადემიურ დავალიანებას.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ასევე, არც აკადემიური დავალიანების გამო ირიცხებოდნენ სტუდენტები მათგან.
საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა ასრულებდა თუ არა სწავლას ყველა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ეს პროცენტულად გათვლილი და საკმაოდ მაღალი პროცენტი იყო, ვინც ასრულებდა სწავლას.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რითი ირიცხებოდნენ სტუდენტები, რადგან არ ჰყავდათ ფინანსური/აკადემიური დავალიანებით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ასწავლიდნენ და უქმნიდნენ ყველა პირობას, სწორედ ამიტომ იყო მობილობის ამხელა რიცხვი, ცოტა სტუდენტი გადადიოდა და უფრო მეტი გადმოდიოდა. აღნიშნული რიცხვები, რაც ექსპერტებს მიაწოდეს იქიდან დათვალეს, თვლა კი არ ეშლებოდა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სწორად გაიგო თუ არა, რომ მათთან პირველ კურსზე თუ შედიოდა 20 სტუდენტი, ამთავრებდა 40.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დასძინა, რომ 40 სტუდენტი ვერა, მაგრამ 17 ნამდვილად ამთავრებდა. ვიღაცა წელს იმატებდა, თუმცა დიდი პროცენტი ასრულებდა.
პრაქტიკული უნარების შეფასებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ამისთვის დაწესებულებას ჰქონდა ინტეგრირებული მედიცინის პროგრამა და სტომატოლოგიაშიც რამდენიმე კურსში გარკვეულწილად იყენებდნენ OSCE-სა და მინი კლინიკური შეფასებები, რომელიც უშუალოდ პრაქტიკულ უნარებსა და კომუნიკაციას ამოწმებდა სტუდენტებში, რაც ჩაშლილი ჰქონდათ კურიკულუმში ძალიან რთული იყო და უშუალოდ მისი მონაწილეობით შეიქმნა, სადაც მათ ცამეტივე დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით შექმნეს სტუდენტის პროტთფოლიოს და ბოლოს იგეგმებოდა მისი გატანება, ამ ეტაპზე სულ 2 წელი იყო გასული დანერგვიდან, პირველივე წელს სტუდენტის შესაფასებლად იყენებდნენ კლინიკური უნარის, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების, კლინიკური მორიგეობის, OSCE-სა და ა.შ. შეფასებებს, რომლებიც იმ პრაქტიკულ კომპონენტებზე გადიოდა, შესაბამისად დაწესებულება დიდი სიზუსტით ახდენდა სტუდენტების კლინიკური უნარებისა და კომუნიკაციის შეფასებას, რაც ხდებოდა, როგორც ინტეგრირებულ მოდულებში, ასევე ყველა საკურაციო კურსში, შესაბამისად ჰქონდათ რთული და ჩაშლილი სისტემა, რომელსაც მუდმივად ამონიტორინგებდნენ და როდესაც ხედავდნენ გასაუმჯობესებელ მხარეს განმახორციელებელ პერსონალთან გადიოდნენ ვრცელ კონსულტაციას და ურჩევდნენ თუ რა კუთხით უნდა შეფასებულიყო.
სტრატეგიული გეგმის შეფასების შესახებ მან განაცხადა, რომ სტრატეგიულ გეგმასა და SWOT ანალიზზე გუნდური მუშაობის პრინციპით ხდებოდა დაწერა, ითვალისწინებდნენ ბევრ პრინციპს, რომლითაც უნდა განვითარებულიყო უნივერსიტეტი, აანალიზებდნენ სუსტ/ძლიერ მხარეებს გასაუმჯობესებელ მხარეებსა და ა.შ. აქედან გამომდინარე ერთიანად ქმნიდნენ სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შინაარსს, ამიტომ ეს ძალიან ჯგუფური დოკუმენტი იყო, რომელზეც ბევრი იყო ნამუშევარი და შეფასებაც საკმაოდ გამჭვირვალე ჰქონდათ.
ბოლო ავტორიზაციიდან 3-4 მიღწევის შესახებ რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ზურაბ ცეცხლაძემ, განაცხადა, რომ მისი მიმართულებით შეეძლო ჩამოეთვალა მხოლოდ 2 მიღწევა, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ინსტიტუტის გახსნა და სამეცნიერო ფონდის ჩამოყალიბება, რომლის ბიუჯეტი დაახლოებით 150.000 ლარი იყო წელიწადში.
კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ აღნიშნა, რომ ამავე ინსტიტუტში იყო ლაბორატორიები და განყოფილებები, ფაკულტეტების მიხედვით თითო კვლევითი მიმართულება შეეძლო დაესახელებინა, მედიცინის მიმართულებით - ენდემური და ზოგადად კავკასიის რეგიონში გავრცელებული მცენარეებიდან მიღებული პოლიფენოლების და ცილოვანი ექსტრაქტების გავლენა ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეულ სხვადასხვა სახის დაავადებებზე ან დაავადების წინარე ცვლილებებზე, თაგვებში, გარდა ამისა მეორე კვლევის ხელმძღვანელი თვითონ იყო და რუსთაველის ფონდში ჰქონდათ გაგზავნილი გრანტზე, ოჯახური ჰიპერქოლესტერინემიაზე (ოჰ) პასუხისმგებელ გენებში მუტაციების გავრცელება საქართველოს მოსახლეობაში, ზოგადად ეს პროექტი მიმართულებათაც შეიძლებოდა გამოყოფილიყო, რადგან სხვადასხვა დაავადებებზე პასუხისმგებელი გენეტიკური ვარიანტების გავრცელება ქართულ პოპულაციაში და მას ჰქონდა ეროვნულო მნიშვნელობა; სტომატოლოგიის ფაკულტეტზე იყო პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს; ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციის ბარიერები ქართულ საზოგადოებაში; ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე - საქართველოს ჯანდაცვის და განათლების სისტემების პრობლემები საერთაშორისო ინდექსების მიხედვით; ეს იყო რამდენიმე პრიორიტეტული კვლევითი მიმართულება, სულ 14 კვლევითი პროექტი ხორციელდებოდა, რომლებიც ან მიმდინარე იყო ან დაგეგმილი.
ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა, თამარ სოზიაშვილიმა, აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესახებ განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის ყოველკვირეული დატვირთვა შემდეგნაირად იყო განსაზღვრული, პროფესორი - 8 საათი, ასოცირებული

პროფესორი - 10 საათი, ასისტენტ პროფესორი - 12 საათი, ასისტენტი 14 საათი, ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტაცია განსაზღვრული იყო კვირაში მინიმუმ 1 საათის ოდენობით.
საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ნანა გვენეტაძემ, ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ Erasmus-ში უნივერსიტეტი ჩართული იყო 2012 წლიდან, ამის შემდეგ დაწესებულებამ მონაწილეობა მიიღო საკონტაქტო სემინარებში, რომელიც Erasmus საქართველოს მიერ იყო ორგანიზებული და ბევრ საინტერესო საერთაშორისო, წარმატებულ უნივერსიტეტს შეხვდნენ აღნიშნულ სემინარებზე და ერთ-ერთ მათგანთან ხელშეკრულებას ხელიც კი მოაწერეს თურქეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან. მანამდე ხელი მოეწერა შიდა საუნივერსიტეტო ხელშეკრულებას 2020-2023 წლებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესახებ Erasmus-ის პროგრამით.
მისი თქმით საერთაშორისო მემორანდუმები გაფორმებული ჰქონდათ საზღვარგარეთის დაახლოებით 10 უნივერსიტეტთან, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებას ითვალისწინებდა, როგროც კვლევის, ისე განათლებისა და გაცვლითი პროგრამების მიმართულებით, მიმდინარე, 2021 წელს 3 უნივერსიტეტთან დაიდო ასეთი ხელშეკრულება, ამერიკულ უნივერსიტეტთან, მაკედონიასთან, უკრაინის უნივერსიტეტთან, ყველა უნივერსიტეტთან, რომლებთანაც ჰქონდათ მემორანდუმები მიმდინარეობდა მუშაობა, მათი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პარტნიორი იყო ინდოეთის უნივერსიტეტი, როგორც კი ხელი მოაწერეს მასთან თანამშრომლობის მემორანდუმს აღნიშნული უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩამოსულები და დაწესებულების წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ სამუშაო ვიზიტით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როგორ აისახა დოკუმენტებში აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვა, ნახეს თუ არა ექსპერტებმა.
ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტები დაწესებულებამ მოთხოვნისთანავე გადააგზავნა, დაწესებულებას ასევე განსაზღვრული ჰქონდა პერსონალის საათობრივი დატვირთვისა და ზღვრული ოდენობის წესი, სადაც გაწერილი იყო ზემოაღნიშნული, დოკუმენტი გადაიგზავნა მოთხოვნისთანავე.
საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული მონაცემები მითითებული იყო თვითშეფასების ანგარიშშიც. მისთვის გასაგები იყო, რომ მხოლოდ სააუდიტორიო მეცადინეობასა და კონსულტაციას არ მოიცავდა, შესაბამისად დაინტერესდა მოიცავდა თუ არა კვლევით საქმიანობას, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო.
ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ გაწერილი საათები კვლევითი საქმიანობისთვის, რადგან აფასებდნენ სამეცნიერო საქმიანობის აქტივობას, ჩაშლილი იყო სამეცნიერო საქმიანობების სხვადასხვა მიმართულებები, ხდებოდა ამის შეჯამება ქულების მიხედვით, სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ანგარიშის გადაგზავნა პერსონალის მხრიდან გაწერილი იყო მათ კონტრაქტებში.
საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა, დააზუსტა 40 საათიან მაქსიმალურ დატვირთვაში იგულისხმებოდა თუ არაა სამეცნიერო აქტივობაც.
ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი დაეთანხმა საბჭოს წევრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.
რექტორის მოადგილემ ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში, თამაზ ხვიჩიამ, განაცხადა, რომ 25 წელი არსებობდა უნივერსიტეტი და მასში მუშაობდა 25 წელი, შესაბამისად ყველაზე კარგად მან იცოდა უნივერსიტეტის ყველა წერტილი, როგორ აშენდა და როგორ გაკეთდა. ავტორიზაციიდან ავტორიზაციამდე წინსვლასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ბევრი რამე გაკეთდა უნივერსიტეტში, გარემონტდა ერთი კორპუსი, გაკეთდა სიმულაციის კლინიკა 250 კვ.მ-ზე, გაკეთდა ანატომიის განყოფილება 200 კვ.მ-ზე, გარემონტდა და დაარსდა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკა და გაფართოვდა სტომატოლოგიური კლინიკა. იგი გულდაწყვეტილი დარჩა, რომ ექსპერტებმა შეამჩნიეს მხოლოდ უარყოფითი, თვითონ კი დარწმუნებული იყო, რომ დაწესებულებას შეაქებდნენ იმ გაწეულ სამუშაოზე, რაც

ჩაატარეს, და გაიგებდნენ სიტყვებს „ყოჩაღ“, რაც არ გაუგია. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტი მყარად იდგა ფეხზე და იმის საშიშროება, რომ კარგი განათლება არ მიეწოდებინა სტუდენტებისთვის არ არსებობდა.
ექსპერტმა, ირინე დარჩიამ, განაცხადა, რომ იყო ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, თუ რას ეძახდნენ მიღწევას, ხომ არ ეძახდნენ იმას რაც იყო ვალდებულება, მაგ., შენობის რემონტი, ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა რემონტისთვის, დაწესებულების ადგილას იგი უფრო მკაფიოდ გაიაზრებდა მიღწევის არსს, როდესაც დაწესებულება ავტორიზაციიდან ავტორიზაციამდე გადადგამდა გარკვეულ ნაბიჯებს, რაც იყო ავტორიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რამდენად შეიძლებოდა ჩათვლილიყო მიღწევად. ექსპერტთა ჯგუფის მიმართ იყო გამოთქმული შენიშვნა, რომ არ აღნიშნეს დაწესებულების დიდი მიღწევები, რაც მათ აღნიშნეს, როგორც მიღწევა დასკვნაში აისახა, როგროც ავტორიზაციის სტანდარტებისა და მოთხოვნების/კრიტერიუმების დაკმაყოფილება, შესაბამისად აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები არ ჰქონდა, რაზეც მათ ისაუბრეს ეს, რომ არ გაეკეთებინათ არ იქნებოდა 80 რეკომენდაცია და იქნებოდა მაგ., 120 რეკომენდაცია. აქედან გამომდინარე ის, რაც დაწესებულებამ გააკეთა აღწერილი იყო, როგორც გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილება, ანუ ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა და დააფასა. განვითარების შესახებ, რომელიც უკავშირდებოდა ავტორიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის არსს, ასევე მეორე სტანდარტს, ანუ რამდენად რეაგირებდა დაწესებულება გარე შეფასებაზე, რამდენად რეალურ ნაბიჯებს დგამდა განვითარებისთვის. ექსპერტს ჰქონდა მონიტორინგის ორი დასკვნა, რომლებიც, სამწუხაროდ, არსებითად ეწინააღმდეგებოდა იმ ვითარებას, რაც მათ დახვდათ, ანუ 27 მარტის მონიტორინგის დასკვნაში ეწერა 16 რეკომენდაცია, რომელიც პრაქტიკულად ემთხვეოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, 20-მდე რეკომენდაცია იყო უცვლელი, ეს აარ იყო ექსპერტთა ჯგუფის ფანტაზიის ნაყოფი, რადგან რეალურად ვითარება არ გაუმჯობესებულა და ვითარების არ გაუმჯობესება არ აისახა მონიტორინგის მეორე ჯგუფის მიერ, მაგ., 2019 წლის 27 მარტის მონიტორინგის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო - „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების/ამოცანების დელეგირება სხვადასხვა სერვისებზე/სამსახურებზე, ისევე როგროც ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების დამატება“, როდესაც ამდენი ფუნქცია ჰქონდა დაწესებულებას და ორი ადამიანი მუშაობდა ფაქტი იყო, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ გაჩენილა ბოლო დასკვნის დრო. ასევე, შრომის ბაზრის წამომადგენლებისა და სხვა „სთეიქჰოლდერების“ ჩართულობის ფორმალიზება პროგრამების დაგეგმარების პროცესში, იგივე რეკომენდაცია გაიცა, რადგან არ იყო გათვალისწინებული. ეს იყო შენიშვნა, რომელიც დოკუმენტურად უნდა გასწორებულიყო, რომ გაეკეთებინათ ფორმალიზება, ეს იყო ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნა. 2019 წლის დასკვნაშიც იყო იგივე რეკომენდაცია სტუდენტთა ჩართულობაზე, ინფორმირებასა და სხვა. ეს იყო დოკუმენტურად გაზომვადი, დადასტურებული ფაქტი, რომ 2 წლის განმავლობაში დაწესებულებამ არ გაითვალისწინა რეკომენდაციები. სხდომაზე მოისმინეს დაწესებულების პოზიცია, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფა არ ნიშნავდა მხოლოდ ერთი მხარის მოსმენას, ხარისხის უზრუნველყოფა კეთდებოდა შიდა „სთეიქჰოლდერებისთვის“ პირველ რიგში ეს იყო, სტუდენტი, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი დასკვნა ეფუძნებოდა არა ადმინისტრაციისგან მიღებულ ინფორმაციას, არამედ ეხებოდა იმ რეალობას თუ რამდენად ახერხებდა ადმინისტრაცია იმპლემენტაციას, რეალურ დანერგვას, რეალური შედეგების მიღწევას, რისი ხედვაც ჰქონდა და რაც დოკუმენტებში ეწერა. მთავარი პრობლემა იყო სხვაობა დოკუმენტაციასა და რეალობას შორის. ექსპერტთა ჯგუფის მტკიცებულებები ხარისხის უზრუნველყოფის მტკიცებულებები იყო ის, რაც ამბობდა, სტუდენტი, პროფესორი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი, ხარისხის სამსახური ამბობდა, რომ ითვალისწინებდნენ „სთეიქჰოლდერების“ მოსაზრებებს, თუმცა, როდესაც ეკითხებოდნენ „სთეიქჰოლდერებს“ ითვალისწინებდნენ თუ არა პასუხს ვერ ღებულობდნენ, შესაბამისად ეს იყო თეორია, რომელიც პრაქტიკაში არ ხორციელდებოდა. ძალიან

სიმპტომატური იყო ის დიალოგი, რომელიც სხდომის განმავლობაში გაიმართა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის დატვირთვასთან დაკავშირებით, რადგან საბჭოს წევრებსაც გაუჩნდათ ბუნდოვანების შეგრძნება. დაწესებულების რამდენიმე წარმომადგენელმა გასცა მეტ-ნაკლებად მკაფიო პასუხი და ბოლოს წაუკითხეს დოკუმენტი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმაც ნახა, თუმცა ის რეალურად არ ხორციელდებოდა, ისევე როგროც საბჭოს წევრებს დასჭირდათ რამდენჯერმე ჩაკითხვა, ექსპერტთა ჯგუფი ანალოგიურად ეკითხებოდა დაწესებულების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებს, მაგრამ პასუხებს ან საერთოდ ვერ იღებნენ, არ ერთმანეთის გამომრიცხავ პასუხებს იღებდნენ, ის რაც ეწერა ქაღალდზე და წარმოედგინა დაწესებულებას სინამდვილეში ვერ ხორციელდებოდა ისე, როგორც უნდა განხორციელებულიყო.

რეკომენდაციების დამთხვევასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ შესაძლებელია ყოფილიყო ასეთი შემთხვევა, რადგან იყო რაღაც კრიტერიუმები, რასაც თუ არ აკმაყოფილებდა უნივერსიტეტი, ანუ პრობლემა ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფაშიც და პროგრამების შემუშავებაშიც, ურთიერთდაკავშირებული კრიტერიუმები იყო, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში კრიტერიუმებს გასცა პასუხი და შესაძლებელია რეკომენდაციები მეტ-ნაკლებად ერთმანეთს დამთხვეოდა, სხვადასხვა სტანდარტებში იყო დარღვევა, ერთი მნიშვნელოვანი საკითხის არ გათვალისწინების ან არ შესრულების გამო. დაწესებულება არ ეთანხმებოდა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით რეკომენდაციას, განაცხადეს, რომ ძალიან კვალიფიციურები იყვნენ, ბევრი ახალი თანამშრომლები აიყვანეს და ა.შ., რაც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც ეწერა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ეწერათ, რომ მათ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით პრობლემა არ ჰქონდათ, მაგრამ ჰქონდათ 6 რეკომენდაცია მე-4 სტანდარტთან მიმართებაში, რომელიც არ გულისხმობდა კვალიფიკაციას და გულისხმობდა სხვა კომპონენტებს ადამიანური რესურსებისა მართვისა და განვითარების, ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ აკადემიური პერსონალის აყვანა უნდა მომხდარიყო სპეციალური წესის მიხედვით, რომელიც საბჭოს უნდა დაემტკიცებინა და, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა, აქედან გამომდინარე, თუ რა კრიტერიუმებით აჰყავდათ აკადემიური პერსონალი მოისმინეს მხოლოდ ზეპირსიტყვიერად, რაც იყო ურთიერთგამომრიცხავი, ზოგი ამბობდა, რომ ფორმალური იყო, ზოგი ამბობდა, რომ მეგობრულად დაუძახეს და უარი ვერ უთხრა, რაც სერიოზული პრობლემა იყო.

პერსონალის განვითარების შესახებ მან განაცხადა, რომ არაფერი იყო ნათქვამი პროფესიული განვითარების იმპლემენტაციაზე, პოლიტიკასა და დანერგვაზე, რაზეც სამი ინსტიტუცია იყო პასუხისმგებელი პროფესიულ განვითარებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უწყვეტი განათლების ცენტრი და HR, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა გაერკვია თუ როგორ ხდებოდა მიღებული პასუხები კვლავ ერთმანეთის გამომრიცხავი იყო, არ ემთხვეოდა, როდესაც ერთ საკითხზე იღებდნენ განსხვავებულ პასუხებს ეს ნიშნავდა, რომ პროცესი ვერ მიმდინარეობდა სათანადოდ. ხარისხის უზრუნველყოფის პრობლემაზე 2019 წლის დასკვნაშიც ეწერ, თუმცა არ იქნა გათვალისწინებული. ექსპერტთა ჯგუფს გაეპარა შეცდომა და მიიღო უნივერსიტეტის შენიშვნა, რომ კერძო უნივერსიტეტებისთვის არ იყო საკანონმდებლო მოთხოვნა ხარისხის უზრუნველყოფა საფაკულტეტო დონეზე, თუმცა მაინც შეინარჩუნეს აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან ფაქტი იყო, რომ დაწესებულებას ჰქონდა რთული ამოცანები, ამბიციური გეგმები ძალიან დიდი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და სჭირდებოდა ძალიან დიდი რესურსი. ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურაში სხვადსხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართვასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს არ იყო ექსპერტთა ჯგუფის ახირება, ეს იყო ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნა, რომ სხვადასხვა სტრუქტურები უნდა ყოფილიყო ჩართული, რადგან ხარისხის უზრუნველყოფა არ იყო ერთი ან ორი ადამიანის პრობლემა. მისი თქმით ინტერვიუების დროს, რომ მოესმინათ ის რაც სხდომაზე მოისმინეს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შეფასება არ იქნებოდა ნაწილობრივ შესაბამისობა, იქნებოდა არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამბობდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფასთან

დაკავშირებული კითხვები მას ეხებოდა, რაც ეწინააღმდეგებოდა ავტორიზაციის სტანდარტსა და ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას, რომელიც უკვე 3 წელია მკვიდრდებოდა, რომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი ადამიანის, აღნიშნულმა პასუხმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნის მართებულობა. თუკი იქნებოდა ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციების დელეგირება, ფაკულტეტებზე ადამიანებ, თუნდაც შეთავსებით, ყველაფერი ერთ ადამიანზე რომ არ ყოფილიყო უკეთესი შედეგი დადგებოდა და ნაკლები რეკომენდაცია ექნებოდა ექსპერტთა ჯგუფს.

ცხრილებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დროულად მიაწოდე, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, მისთვის გაუგებარი იყო რატომ გართულდა ეს პროცესი და მოისმინეს განსხვავებული ინტერპრეტაცია, თუ რატომ არ დახვდათ სასწავლო პროცესი კლინიკებში, თითქოს გვიან მივიდნენ, მაგრამ, როდესაც დგებოდა დღის წესრიგი ექსპერტებმა მოითხოვეს, რომ ისე დაგეგმილიყო ვიზიტი, რომ ჰქონოდათ საშუალება ადგილზე ენახათ პროცესი, რადგან უცხოელ ექსპერტებს განსაკუთრებით აინტერესებდათ პროცესი, რაც დაწესებულებამ იცოდა, რომ ასე უნდა მომხდარიყო და ექსპერტთა ჯგუფი ვერ მიიღებდა იმ მიზეზს, რომ გვიან მივიდნენ და უკვე დასრულებული იყო, რადგან ეს იყო ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი მოთხოვნა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამართული მუშაობა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო იყო იმ დაწესებულებისთვის, რომლებიც მედიცინის პროგრამებს ახორციელებდნენ, რადგან საქართველომ მოიპოვა წარმოუდგენელი წარმატება, გარდა იმისა რომ იყო ENCA-ს წევრი, საქართველოს ჰქონდა WFM-ის (სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია) აღიარება, რაც იყო წარმოუდგენელი წარმატება და საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შედიოდა 3-4 სააგენტოში, რომელმაც ეს მოიპოვა, თუმცა მას სჭირდებოდა სერიოზული მოფრთხილება და შენარჩუნება. იანვარში ცენტრმა ჩაატარა ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია, სადაც მოისმინეს WFM-ის წარმომადგენლის ძალიან კრიტიკული პრეზენტაცია საქართველოში სამედიცინო განათლების შესახებ, ასევე, Times-ში გამოქვეყნდა ძალიან მნიშვნელოვანი სტატია, რაც ნიშნავდა, რომ საქართველოს დიდი ყურადღება მართებდა, ეს იყო არა მხლოდ პასუხისმგებლობა კონკრეტული დაწესებულების სტუდენტების მიმართ, არამედ სახელმწიფო მიღწევის მიმართ, რომ საქართველოს ჰქონდა WFM-ის აღიარება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ გულდასაწყვეტი იყო მოხსენიება „ისინი“ და „ჩვენ“, მისი მოსაზრებით უნდა ყოფილიყვნენ ერთი სისტემა, რომელიც ერთმანეთს ეხმარებოდა და ავითარებდა.

მონიტორინგის შედეგთან დაკავშირებით მან ამოიკითხა 2019 წლის მონიტორინგის დასკვნიდა: „2.2 კომპონენტი - საჭიროა ფუნქციების დელეგირება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანების დეტალიზირება“, ექსპერტთა ჯგუფის პასუხი - „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები დელეგირებულია, იმის გამო, რომ ხარისხის სამსახურში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს ფუნქციები გადანაწილებულია დეკანატებზე და კონკურსი გამოცხადებულია ხარისხის სამსახურის დამატებითი პერსონალის აყვანასთან დაკავშირებით, რეკომენდაციები შესრულებულია“. მისი თქმით სწორედ ეს იყო დოკუმენტაცია, ეს იყო დასკვნა და ექსპერტი რატომ მიიჩნევდა, რომ არ გაითვალისწინეს მისთვის გაუგებარი იყო.

„სთეიქჰოლდერებს“ მონაწილეობის შესახებ მან განაცხადა, რომ ყველა ექსპერტმა მოაწერა დასკვნას ხელი, სადაც 34-35 გვერდებზე ეწერა - „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა აკადემიური პერსონალისა და მენეჯმენტის შეფასებისთვის და, აგრეთვე, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ცოდნისა და უნარების შესასწავლად. გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციები სწავლებისა და კვლევის სხვადასხვა ასპექტებზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე“.

ექსპერტმა მოუწოდა წაეკითხა გაგრძელება, სადაც ეწერა, რომ არ დანერგა და სწორედ ეს იყო პრობლემა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ამდენი ანგარიში იყო უნივერსიტეტში და შედეგების დანერგვა იყო, მისი მოსაზრებით ექსპერტებმა არ შეისწავლეს მათი მეთოდოლოგია და არ ნახეს ის შთამბეჭდავი ბაზურად ამოღებული დოკუმენტაცია, დაწესებულებას ყველაფერი ჰქონდა ავტომატიზებული და უზარმაზარი ინფორმაციულ მასივებს ინახავდნენ, თვითონ იყო ეკონომიკური ინფორმატიკის დოქტორი და დიდი ინფორმაციული მასივების დამუშავება იყო მისი მოგონილი, აკეთებდნენ ღრმა ანალიზს, სადაც ჩართული იყო ყველა სტრუქტურული ერთეული, აწვდიდნენ ინფორმაციებს, გამოკითხვებიც იყო ავტომატიზებული, ჩაშენებული სისტემაში, ღებულობდნენ უამრავ ინფორმაციას, ამუშავებდნენ ბაზურად, აკეთებდნენ სტატისტიკას და რეკომენდაციების სახით რეპორტები ეგზავნებოდა ყველა დეკანატს, რაც იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი და მიწოდებული იყო ექსპერტებისათვისაც, თუკი ისინი ჩაიხედავდნენ Exel-ის ფაილში, იქ უბრალოდ გადაადგილებაც კი შეიძლება რთული იყოს იმხელა მასივები იყო დამუშავებული და გააზრებული იყო ეს ყველაფერი, ანალიზი დადებული და რეკომენდაციები გაცემული, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დაწერა რეკომენდაციებში დაახლოებით იგივე რეკომენდაციებს გასცემდნენ ისინიც, ინტერნაციონალიზაცია, გაცვლით პროგრამები და სხვა შეეძლოთ წაეკითხათ მათ რეკომენდაციებშიც, აქედან გამომდინარე ვერ მიიღებდნენ, ხდებოდა სტუდენტების დაინტერესება.

აკადემიური პერსონალის არჩევის წესთან დაკავშირებით ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან გაცემულ რეკომენდაციაზე დაწესებულებამ არ გასცა პასუხი, რადგან არგუმენტირებულ პოზიციაში უკვე დაფიქსირებულ არგუმენტაციაზე, საბჭოს თავმჯდომარის თხოვნის გათვალისწინებით არ უსაუბრიათ. აღნიშნული წესი შემუშავებულია დიდიხანია და მუშაობდა, განსაზღვრული იყო უნივერსიტეტის წესდებით - მუხლი 8 და მისი პუნქტები, ასევე უნივერსიტეტის დებულებით - მუხლი 16, 17 და სრულ შესაბამისობაში იყო საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებთან, ექსპერტთა დასკვნაში დადასტურებულიც კი იყო, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავდნენ აკადემიური პერსონალის არჩევის, დანიშვნის პროცედურებს და ა.შ. სტრუქტურული ერთეულის პუნქტების გადაფარვასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული იყო ორი მუხლი, ხარისხის უზრუნველყოფის დებულების 2.3 მუხლი და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის 2.1.6 მუხლი. პირველ მუხლში ეწერა - „სასწავლო პროცესის განხორციელებაში უშუალოდ ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, შეფასების და განახლების მიზნით უზრუნველყოფდეს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ერთად“, მეორე მუხლში კი ეწერა - „კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამების ადმინისტრირება და პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტის პერსონალისთვის სხვადასხვა სემინარების, ტრენინგის, სასწავლო და სასერთიფიკაციო კურსების ორგანიზება“, აღნიშნულ მუხლებში დაწესებულების წარმომადგენლები ვერ ხედავდნენ გადაფარვებს.

რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში გაიხსენა ექსპერტის მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ ბოლო ავტორიზაციიდან რა მიღწევებიც ჰქონდა უნივერსიტეტს ისედაც უნდა გაეკეთებინათ. მან განაცხადა, რომ ამ მომენტისთვის რემონტდებოდა 400 კვ.მ კვლევებისთვის, რაც ექსპერტმაც ნახა ადგილზე ვიზიტის დროს.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მათი ყველაზე დიდი წარმატება იყო წარმატებული კურსდამთავრებულები, რადგან უნივერსიტეტს ისე არაფერი ახასიათებდა, როგორც მისი წარმატებული კურსდამთავრებულები, კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმებულები და შედეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველები, ამასთანავე მათ კლინიკებშიც იყვნენ დასაქმებულნი ძალიან წარმატებულად.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 20:38 სთ
საბჭოს სხდომა განახლდა: 20:59 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედისთვის“ 6 წლით ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, სტუდენტთა მიღების შეზღუდვით 2 წლის ვადით.

კენჭისყრისშედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 2 3 (1 6 / 7)
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედს“ მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, 2 წლით სტუდენტთა მიღების შეზღუდვის და 2 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

3. შუამდგომლობა ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრის“ ოქმსა და გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

ცენტრის დირექტორმა, თამარ მახარაშვილმა, დააყენა შუამდგომლობა ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრის“ ოქმსა და გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ, კერძოდ:
„შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ „ანრის“ შუამდგომლობისა და სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი - 2021 წლის 27 მაისიდან 2021 წლის 31 ივლისამდე დაასრულონ შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ „ანრიში“.

კენჭისყრისშედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 6 1 5
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ,,სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 16 სექტემბრის №846940 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“4. 2021 წლის 09 ივნისის №549082 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი - "**შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ**", ამოქმედდეს 2021 წლის 31 ივლისიდან; ამავე გადაწყვეტილების დანარჩენი პუნქტები (გარდა პირველისა) ძალაში შევიდეს 2021 წლის 25 მაისიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 21:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით